შირაქი

SHIRAKI

გამოდის 1937 წლიდან

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გაზეთი

№10 (10.066)

1—8 აპრილი 2023 წელი

ფასი: 60 თეთრი

ყოველკვირეული გამოცემა

„არბოშიკს მალე ექნება თანამედროვე სტანდარტების სკოლა“...

გასულ კვირას დედოფლისწყარო პარტია „ხალხისთვის“ ლიდერის ანა დოლიძის ობიექტივში მოექცა. ამჯერად პოლიტიკოსმა სოფელ არბოშიკის საჯარო სკოლის შენობის მდგომარეობაზე გაამახვილა ყურადღება და აღნიშნა: „პრემიერის მშობლიურ რაიონში ბავშვები ასეთ პირობებში არ უნდა სწავლობდნენ“. თუმცა, მან სკოლის შენობის მხოლოდ ერთი, ამორტიზებული ნაწილი აჩვენა საზოგადოებას და არა მთლიანი სკოლა. ასევე მოიქცა ის მუნიციპალიტეტის მთლიანი შეფასებისასაც.

დედოფლისწყაროს მერის ნიკოლოზ ჯანიაშვილის განცხადებით, ანა დოლიძეს საზოგადოება შეცდომაში გამიზნულად შეჰყავს, რადგან მის მიერ გავრცელებული ინფორმაცია გადაუმოწმებელია და პოლიტიკური ქულების ჩასაწერად ცდილობს მუნიციპალიტეტი ნეგატიურ კონტექსტში წარმოაჩინოს.

ნიკოლოზ ჯანიაშვილი, ***დედოფლისწყაროს მერი:*** „გვინდა გამოვეხმაუროთ პარტია „ხალხისთვის“ თავმჯდომარის, ანა დოლიძის მიერ სოციალურ ქსელში გავრცელებულ ვიდეოს, სადაც ის საუბრობს დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტში არსებულ სოციალურ თუ ეკონომიკურ მდგომარეობაზე. აღვნიშნავთ, რომ ქალბატონი ანა არ დაინტერესებულა მუნიციპალიტეტში განხორციელებული, მიმდინარე და ახლო მომავალში დაგეგმილი მასშტაბური პროექტებით, რომლებიც ბევრ საჭიროებას საბოლოოდ გადაჭრის. სამწუხაროდ, ის შეეცადა, საზოგადოებისთვის დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტი მხოლოდ ნეგატიურ ასპექტში წარმოეჩინა. ქალბატონმა ანამ ისაუბრა სოფელ არბოშიკის საჯარო სკოლის გაუმართავ ინფრასტრუქტურაზე. ამ ფაქტს არავინ უარყოფს, მაგრამ მას რომ ეკითხა, აუცილებლად შეიტყობდა, რომ უახლოეს პერიოდში ხელისუფლება გეგმავს აღნიშნული სკოლის სრულ რეაბილიტაციას. სამწუხაროდ, მას ალბათ „გამორჩა“ და არ უნახავს არბოშიკის მოსაზღვრე სოფელ ზემო მაჩხაანის საჯარო სკოლის ახალი, ევროპული სტანდარტების შენობა, რომელიც ჩვენმა ხელისუფლებამ ააშენა. მან ალბათ ვერც მილენიუმის პროგრამის ფარგლებში რეაბილიტირებული სოფელ გამარჯვებისა და სოფელ ზემო ქედის N2 საჯარო სკოლები შენიშნა, რომლებიც ცენტრალურ გზაზე მდებარეობს. სამწუხაროა, რომ მას ასევე „გამორჩა“ მასშტაბური მშენებლობა სოფელ ოზაანში, სადაც მოსახლეობას 1991 წლიდან ჰპირდებოდნენ ახალი სკოლის აშენებას, მაგრამ დაპირება რეალობად მხოლოდ ჩვენ ვაქციეთ. როდესაც ის საზღვრისპირა სოფლებში იმყოფებოდა, მხედველობიდან „გამორჩა“ ასევე მასშტაბური პროექტი, რომელიც სამთაწყაროს სკოლის სრულ რეაბილიტაციას გულისხმობს და დასრულების ეტაპზეა. ანა დოლიძემ „ვერც“ ქალაქის ცენტრში არსებული მუნიციპალიტეტის ყველაზე დიდი სკოლის შენობის დემონტაჟი შენიშნა, რომლის დასრულებისთანავე აღნიშნულ ადგილას ახალი სკოლის მშენებლობა დაიწყება. მას რომ ეკითხა, აუცილებლად მიიღებდა ინფორმაციას, რომ ახლო მომავალში ასევე იგეგმება ზემო ქედის N1 საჯარო სკოლის აშენება. გავრცელებულ ვიდეოში ანა დოლიძე საუბრობს „საუკუნის წინ გაკეთებულ“ გზებზე, რაც არის სიცრუე, რადგან დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტში, რომელიც ფართობით საკმაოდ მოცულობითია და ტერიტორიის სიდიდით აჭარას უტოლდება, საგზაო ინფრასტრუქტურის მოწესრიგება დაიწყო მხოლოდ 2013 წელს. ამ დროის განმავლობაში თითქმის სრულიად მოწესრიგდა დედოფლისწყაროსა და მუნიციპალიტეტის სოფლების დამაკავშირებელი გზები, დარჩენილია მხოლოდ არბოშიკი-ზემო მაჩხაანის დამაკავშირებელი საავტომობილო გზა, რომლის რეაბილიტაციაც უახლოეს პერიოდში დაიწყება. რაც შეეხება ადმინისტრაციული ერთეულების შიდა საუბნო გზებს, მათი მოწყობა აქტიურ რეჟიმში მიმდინარეობს. ანა დოლიძე ასევე საუბრობს მუნიციპალიტეტში „არარსებულ ეკონომიკაზე“, თუმცა რომ ეკითხა, აუცილებლად გაიგებდა, რომ სარწყავი სისტემა, რომელიც სრულად განადგურდა წინა ხელისუფლებების დროს, აღდგა მხოლოდ ჩვენი ხელისუფლებების პირობებში, შესაბამისად გაიზარდა მოსავლიანობაც. გასულ წელს მხოლოდ ფიროსმანელმა მევენახეებმა 2 100 ტონა ყურძენი ჩააბარეს და 2 700 000 ლარზე მეტი მიიღეს. ეს მაშინ, როცა ჯერ კიდევ 2014-2015 წლებში ეს ციფრი მხოლოდ 80 ტონას შეადგენდა. საუბარია სოფელზე, სადაც 157 ოჯახი ცხოვრობს. ასევე ის ახსენებს შირაქის ველს, სადაც მისი სიტყვებით, არავითარი აქტივობა არ მიმდინარეობს. სამწუხაროდ, მან არ აღნიშნა, რომ არცერთი გოჯი მიწა დაუმუშავებელი არ არის და დედოფლისწყაროელ ფერმერებს მხოლოდ შირაქის ტერიტორიაზე მინიმუმ 40 000 ჰექტარზე მოჰყავთ ხორბლისა და ქერის მოსავალი. შარშან მარცვლეული კულტურით მიღებულმა შემოსავალმა დაახლოებით 100 000 000 ლარი შეადგინა. მას არც კაკლის, ნუშისა და ზეთისხილის ბაღები აღუნიშნავს, რომელიც დედოფლისწყაროელებისთვის წარმატებულ საქმიანობად იქცა. ჩვენთვის მნიშვნელოვანია მოსახლეობა, რომელიც საბედნიეროდ, ჩვენს გაკეთებულ საქმეებს კარგად ხედავს და გვერდში გვიდგას, ამიტომაც არ ვაპირებთ ანა დოლიძის ბრალდებებისთვის პასუხის დეტალურად გაცემას, თუმცა შევეხებით კიდევ ერთ საკითხს. ანა დოლიძე შეეხო მუნიციპალიტეტის წყალმომარაგებას, რომელიც ჯერ კიდევ წარმოადგენს პრობლემას. ის რომ დაინტერესებულიყო, მარტივად შეიტყობდა, რომ ქ. დედოფლისწყაროს 24 საათიანი წყალმომარაგებისთვის დალის მთის წყალსაცავიდან 38 კილომეტრიანი მაგისტრალი უკვე მოეწყო. პროექტი ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადაზე ადრე , 2023 წლის პირველ ნახევარში დასრულდება და მოსახლეობა 24 საათიანი თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი წყალმომარაგებით ისარგებლებს“

გაზეთი „შირაქი“ დაინტერესდა სოფელ არბოშიკის საჯარო სკოლის რეალური მდგომარეობით, ადგილზე ჩავიდა და სიტუაციის შეფასება სკოლის დირექტორს სთხოვა.

მანანა ჭილიტაშვილი, ***სკოლის დირექტორი:*** „სკოლაში სარეაბილიტაციო სამუშოების გარკვეული ნაწილი უკვე შესრულებულია. 6 საკლასო ოთახი სრულადაა რეაბილიტირებული. მოეწყო ასევე სველი წერტილები, სადაც ადაპტირებული კაბინაცაა შშმ პირებისთვის. გარდა ამისა, გვაქვს ქიმიის კაბინეტი, რომელიც საქართველოში მხოლოდ „ევროპულ სკოლაშია“ მსგავსი, მეორეკი - ჩვენთან, სრულად, შესაბამისი ინფრასტრუქტურით აღჭურვილი. მინდა ხაზი გავუსვა იმას, რომ სკოლის პირველი ფლიგელი საკმაოდ ძველია. ის 1924 წელსაა აშენებული და თითქმის საუკუნეს ითვლის. სწორედ შენობის სიძველემ გამოინვია ის ხარვეზები, რაც დღეს სკოლის გარკვეულ ნაწილს აქვს. რა თქმა უნდა, სკოლა თავისი ძალების შესაბამისად ცდილობდა ხარვეზების გამოსწორებას, თუმცა, ჟამთა სვლამ თავისი კვალი მაინც დატოვა. ამ ფაქტს არავინ უარყოფს. არავინ გაურბის იმ რეალობას, რომ შენობა დროთა განმავლობაში ნამდვილად სარეაბილიტაციო გახდა. მაგრამ აქვე ისიც უნდა ვთქვა, რომ შენობა ავარიული არაა, ის ექვემდებარება გარკვეულ რეაბილიტაციას. ამ დრომდე ყველაფერი პრიორიტეტების მიხედვით განსაზღვრულ პროცესებზე იყო დამოკიდებული. აუცილებლად უნდა გაჟღერდეს ის ფაქტიც, რომ ჩვენი სკოლა იყო მორიგი იმ სკოლათაგანი, რომლის რეაბილიტაციაც უნდა დაწყებულიყო. ველოდებოდით ამ პროცესის დაწყებას და ვიმედოვნებთ, რომ წელს ეს აუცილებლად განხორციელდება. მერიის ინფრასტრუქტურის სამსახურმა მოინახულა შენობა, ჩვენ გვქონდა კომუნიკაცია, ყველა საჭირო დოკუმენტაცია უკვე გადაგზავნილია და გადაწყვეტილებასაც შესაბამისი სამსახური მიიღებს. აქედან გამომდინარე, სოფელს ექნება თანამედროვე ინფრასტრუქტურით გამართული და მოწესრიგებული სკოლა“.

დედოფლისწყაროს ადგილობრივი ხელისუფლება აღიარებს, რომ მუნიციპალიტეტში მიმდინარე უამრავი ინფრასტრუქტურული პროექტის მიუხედავად, გასაკეთებელი კიდევ ბევრია. ყველა პრობლემა ეტაპობრივად მოგვარდება.

ლაშა ბექაურის კიდევ ერთი ოქრო

ლაშა ბექაურმა თბილისის გრანდ-სლემზე ოქროს მედალი მოიპოვა. 90 კგ კატეგორიის ფინალში მან ლუკა მაისურაძე ვაზარით დაამარცხა. ეს პირველი ოქროა მსოფლიო ტურზე ოლიმპური ჩემპიონის რანგში, მაისურაძეს კი ვერცხლი დარჩა. ტოკიოს ოლიმპიადის შემდეგ ბექაური ძირითადად ვერცხლისა და ბრინჯაოს მედლებს იღებდა.

თბილისის გრანდ-სლემზე ნახევარფინალში ბექაურმა ბერძენი თეოდოროს ცელიდისი ვაზარით დაამარცხა, ხოლო მანამდე იაპონელ გოკი ტაჯიმას იპონით, კანადელ ლუის კრიბერის კი ვაზარით სძლია.

„ძალიან მინდოდა, რომ ჩემს ქვეყანაში, ჩემს ხალხთან ერთად ამეჟღერებინა საქართველოს ჰიმნი, მართლა მთელი გუნდით მინდოდა და ბედნიერი ვარ, რომ შევძელი ოქროს მედალი მომეპოვებინა და ეს სიხარული ყველას ერთად გაგვეზიარებინა, მადლობა მხარდაჭერისა და გულშემატკივრობისთვის,“ – აღნიშნა ოლიმპიურმა ჩემპიონმა.

შეგახსენებთ, გრანდ სლემს საქართველოს დედაქალაქმა 24-26 მარტს უმასპინძლა. ჯამში ქართველმა ძიუდოისტებმა 3 ოქროს, 2 ვერცხლისა და 1 ბრინჯაოს მედლის მოპოვება შეძლეს.

არხილოსკალოელი ლაშა ბექაური 2021 წლის 26 ივლისს ოლიმპიური ჩემპიონი გახდა, მას 2019 წელს დედოფლისწყაროს მერიამ საპატიო მოქალაქის წოდება მიანიჭა.

ილია მარტყოფლიშვილი

C M Y K

ტყის საერთაშორისო დღე

2012 წლის 21 მარტიდან ტყის საერთაშორისო დღე აღინიშნება, რომელიც გაეროს გენერალურმა ასამბლეამ აღიარა. ამ დღის მიზანია საზოგადოებაში ტყეების მნიშვნელობის შესახებ ცნობიერების ამაღლება. სხვადასხვა სახის აქტივობები მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში ყოველწლიურად ტარდება.

დედოფლისწყაროს სოფელ ხორნაბუჯის საჯარო სკოლაში მოქმედ სამოქალაქო კლუბმა „ხორნაბუჯმა“ და მოსწავლეთა თვითმმართველობამ ბუნებისმეტყველების საგანთან ერთად ინტეგრირებული საინფორმაციო კამპანია გამართა საბაზო საფეხურის მოსწავლეებთან. როგორც ორგანიზატორებმა „შირაქს“ აცნობეს, კლუბის წევრებმა დაამზადეს ბროშურები, რითაც მოხდა მეტი დაინტერესება და ინფორმირება ტყის მნიშვნელობის შესახებ.

ხოლო სპეციალურმა სტუმარმა, ჭაჭუნას აღკეთილის მთავარმა სპეციალისტმა ნათია ზურაშვილმა მოსწავლეებს გააცნო თუ როგორ უნდა მოხდეს გამეჩხერებული ტყის ტერიტორიის შევსება-აღდგენა. ინიციატივა განხორციელდა USAID-ის სამოქალაქო განათლების პროგრამის ფარგლებში.

შეხვედრა „მშობლები განათლებისთვის“

არასამთავრობო ორგანიზაცია „მშობლები განათლებისთვის“ ქ. დედოფლისწყაროს მე-2 საჯარო სკოლას ეწვია და კრიტიკული აზროვნების, მედიანწიგნიერებისა და დეზინფორმაცია-პროპაგანდის შესახებ ტრენინგი ჩაატარა. შეხვედრას 35 მონაწილე - მშობლები, მასწავლებლები და მოსწავლეები ესწრებოდნენ.

მოზარდებმა მშობლებთან და პედაგოგებთან ერთად იმსჯელეს იმაზე, როგორ უნდა გამოვიმუშაოთ კრიტიკული აზროვნება და როგორ განვასხვაოთ ინტერნეტში ცრუ ინფორმაცია რეალური ამბებისგან. ითქვა ისიც, რომ ბოლო ხანს დეზინფორმაციისა და ფეიკ-ამბების გავრცელებამ მასშტაბური სახე მიიღო და რთულია ადამიანმა ტყუილ-მართალი განასხვაოს.

პროექტი „კრიტიკული აზროვნების განვითარება კახეთის რეგიონის სკოლებში“ კონრად ადენაუერის ფონდის მხარდაჭერით ხორციელდება.

დედოფლისწყაროს მზა სადილის საწარმო ექსპორტს აფართოებს

დაკონსერვებული ქართული კერძების მწარმოებელი კომპანია „სადილი“ საექსპორტო ბაზრებს აფართოებს, - ამის შესახებ კომპანიის დამფუძნებელმა პაატა არაშიძემ განაცხადა. მისივე ცნობით, კომპანიის პროდუქტით აღმოსავლეთ ევროპიდან, აშშ-დან და გალფის ქვეყნებიდან დაინტერესდნენ.

„ახლახან ვიმყოფებოდით საკვებისა და სასმლის საერთაშორისო გამოფენა Gulfood-ზე, სადაც საკმაოდ ბევრი მნიშვნელოვანი კონტაქტი დავამყარეთ - ძირითადად იმ ქვეყნების წარმომადგენლები ინტერესდებოდნენ, სადაც ჩვენი ქვეყნის სამზარეულოს იცნობენ, ესენი არიან აღმოსავლეთ ევროპიდან უნგრეთი, პოლონეთი, ჩეხეთი და ა.შ, ასევე პოსტსაბჭოთა ქვეყნებიც. გამომდინარე იქიდან, რომ აშშ-ში შერეული მოსახლეობაა და დიდი ნაწილი სწორედ ჩვენთან დაახლოებული ქვეყნების მოქალაქეები არიან, დაინტერესება იქედანაც მივიღეთ, ამ ეტაპზე სერთიფიკატების მოპოვების პროცესში ვართ, რაშიც USAID გვეხმარება და უახლოეს მომავალში ამ ბაზარზე გამოვჩნდებით.

ნიმუშები გალფის ქვეყნებშიც გაგზავნილი გვაქვს, სადაც სპეციალური „ჰალალ“ სერთიფიკატის მოპოვებაა საჭირო, სწორედ ამიტომ ჩვენ ღორის ხორცზე საერთოდ არ ვმუშაობთ და ნებართვების მიღების შემდეგ, წლის ბოლომდე, ამ ქვეყნებშიც გამოვჩნდებით,“ - განაცხადა არაშიძემ.

კომპანიის დამფუძნებელი აღნიშნავს, რომ ექსპორტი ბევრ ბიუროკრატიულ პროცესთანაა დაკავშირებული, თუმცა ორი წლის წინ „სადილმა“ სოკოს კონსერვის 15 000 ქილა კანადაში უკვე გაგზავნა, ამიტომ თვლის, რომ კომპანიას ბაზრების გაფართოების პოტენციალი აქვს. აქვე შეგახსენებთ, რომ კომპანია „ჯეო ნატურალსმა“ 2016 წელს დედოფლისწყაროში „სადილის“ ბრენდით საწარმო აამოქმედა, რომელშიც 5 მილიონი ლარის ოდენობის ინვესტიცია ჩაიდო.

„სადილი“ საცივს, ტოლმას, ფლავს, ხარჩოს და სხვა ქართულ კერძებს კონსერვების სახით დედოფლისწყაროს სოფელ გამარჯვებაში მდებარე საწარმოში აწარმოებს, თვიური წარმადობა 200 000 ქილაა და მისი ძირითადი ნაწილი ადგილობრივ ბაზარზე, კერძოდ კი ქსელურ მარკეტებში რეალიზდება, მიმდინარე წელს კი კომპანია ადგილობრივი ბაზრის ნილის გაფართოებას გეგმავს. ამ დროისთვის კომპანიაში 45 ადამიანია დასაქმებული, აქედან 30 კადრი უშუალოდ წარმოების პროცესში ერთვება.

აშშ-ს ელჩმა კახეთიდან ორი პედაგოგი დაჯილდოვა

თბილისში, ექსპო-ჯორჯიაში გამართულ სამოქალაქო განათლების პედაგოგთა კონფერენცია — გამოფენაზე წლის საუკეთესო სამოქალაქო განათლების მასწავლებლები, წარმატებული პედაგოგები და სასკოლო სამოქალაქო კლუბების საუკეთესო მეურვეები გამოავლინეს. USAID ***სამოქალაქო განათლების პროგრამის ეგიდით, 25 მარტს, რიგით მე-10 სამოქალაქო განათლების პედაგოგთა წლიური კონფერენცია-გამოფენა გაიმართა. შეხვედრას საქართველოს რეგიონებიდან ჩასული 200-მდე სამოქალაქო განათლების მასწავლებელი ესწრებოდა. გამარჯვებულებს ჯილდოები გადასცეს აშშ-ის ელჩმა საქართველოში კელი დეგნანმა და სხვა მიწვეულმა სტუმრებმა.***

კომპეტენტური ჟიურის მიერ ქვეყნის მასშტაბით გამოვლინდნენ წლის საუკეთესო სამოქალაქო განათლების პედაგოგები და სასკოლო სამოქალაქო კლუბების საუკეთესო მეურვეები. ფორუმზე დაჯილდოებულთა შორის ორი პედაგოგი კახეთის რეგიონიდანაა: მაია ლაპიაშვილი-ქალაქ დედოფლისწყაროს №1 საჯარო სკოლის სამოქალაქო განათლების პედაგოგი და დოდონა ჭყონია — სიღნაღის მუნიციპალიტეტის სოფელ საქობოს საჯარო სკოლის სამოქალქო განათლების პედაგოგი.

მაია ლაპიაშვილი: „კახეთის რეგიონის სამოქალაქო განათლების წლის წარმატებულ მასწავლებლად ჟიურიმ მე დამასახელა. გამარჯვებულებს ჯილდოები გადმოგვცა აშშ-ის ელჩმა საქართველოში კელი დეგნანმა და სხვა მოწვეულმა სტუმრებმა, ბიზნეს სექტორის წარმომადგენლებმა.

როგორც ტრენერი, განათლების ექსპერტი, უამრავი საგანმანათლებლო მიმართულებით ვარ ჩართული განათლების სისტემის საპასუხისმგებლო მიმართულებებში - მასწავლებლებისა და სკოლის დირექტორების პროფესიული განვითარება, ქოუჩინგი, განათლების რეფორმა, ხარისხის უზრუნველყოფა და სხვ. თუმცა ახლა გამომარჩიეს, როგორც რეგიონის საუკეთესო მასწავლებელი. ჟიურიმ გამოარჩია ის მრავალფეროვანი საქმიანობები, რასაც ვახორციელებ სკოლაში და სკოლის გარეთ. სკოლაში ვუძღვები სამოქალაქო განათლების და ეკო-კლუბს. ახლა დავაფუძნეთ მესამე, სამაგიდო თამაშების, კლუბი. კლუბებთან და მოსწავლეთა თვითმმართველობასთან თანამშრომლობით ვახორციელებთ უამრავ პროექტს გარემოსდაცვითი და სოციალური მიმართულებით. საგრანტო კონკურსში გამარჯვებულად გამოცხადდა და დაფინანსდა ჩემი ერთ-ერთი პროექტი. მასწავლებელთა პროფესიული განვითარების მიმართულებით ვატარებ კონფერენციებს. ბოლო ორ კონფერენციას დაესწრო 500-ზე მეტი მასწავლებელი. ასევე ვატარებ საქველმოქმედო ტრენინგებს. შემოსული თანხით ვეხმარები კოლეგებს, მოსწავლეებს. მოხალისეობრივ საქმიანობაში მყავს ჩართული ჩემი მოსწავლეები. ეს მცირე ჩამონათვალია იმ საქმიანობების, რის მიხედვითაც ჟიურიმ მომანიჭა ეს წოდება. მიყვარს მასწავლებლობა და არასოდეს ვაკეთებ საქმეს ჯილდოს მოლოდინში. ჩემი მთავარი ორიენტირი ბედნიერი მოსწავლეა. თუმცა, ძალიან გამიხარდა აღიარება და დაფასება. ეს დამატებითი სტიმულია, მეტი გავაკეთო მოსწავლეთა შედეგების ამაღლებისა და კარგ მოქალაქეებად აღზრდის საქმეში. დიდი მადლობა მინდა გადავუხადო მხარდაჭერისთვის PH-International-ს, მედიაცენტრ „კახეთს“ და სამოქალაქო განათლების ფორუმს“.

საქართველოს სკოლებში ხორციელდება USAID-ის სამოქალაქო განათლების პროგრამა. პროგრამის მიზანია მაღალი მოქალაქეობრივი შეგნების, სამოქალაქო პროცესებში ჩართული ახალგაზრდების აღზრდა. პროგრამა ითვალისწინებს ტექნოლოგიების დანერგვას სამოქალაქო განათლების სწავლა-სწავლების პროცესში, სკოლაში დემოკრატიული კულტურის განვითარების ხელშეწყობას, ბიზნესისა და სკოლების დაკავშირებას.

ილია მარტყოფლიშვილი

სამუშაო შეხვედრა არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლებთან

„საქართველოს სამოქალაქო განვითარების ასოციაციის“ წარმომადგენლებმა დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერთან, ნიკოლოზ ჯანიაშვილთან მორიგი სამუშაო შეხვედრა გამართეს. შეხვედრას ასევე ესწრებოდნენ მერის მოადგილე მალხაზ მერაბიშვილი და მერიის სოციალური სამსახურის უფროსი დოდო ხუნაშვილი .

სამუშაო თათბირი პროექტ „სოციალური მეწარმეობის განვითარება მდგრადი და ინკლუზიური საზოგადოებისთვის“ ფარგლებში გაიმართა, რომელიც ევროკავშირის დაფინანსებით ხორციელდება და მიზნად ისახავს თვითმმართველობებში სოციალური სერვისების განვითარების ხელშეწყობას .

„საქართველოს სამოქალაქო განვითარების ასოციაციას“ დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტთან მრავალწლიანი თანამშრომლობის პრაქტიკა აქვს - ორგანიზაციის მიერ სოფელ არბოშიკში, სოფელ ხორნაბუჯსა და ზემო ქედში დაფუძნებული სათემო ცენტრები ადგილობრივ თვითმმართველობასთან ერთად აქტიურად ახორციელებენ სხვადასხვა მიმართულების პროგრამებს.

"გამოიწვია" შემეცნებისთვის...

„წარუმატებლობა წარმატებისკენ მიმავალი გზის განუყოფელი ნაწილია. ასეთი გამოთქმაც არსებობს: „მთავარი ის არ არის, როგორ დაენარცხები, მთავარია როგორ წამოდგები ფეხზე“. მართლაც ასეა! რა სირთულეც უნდა შეგხვდეთ, მთავარია როგორ გადალახავთ მას - დანებდებით თუ იბრძოლებთ! პროექტი, რომელიც 28 მარტს არბოშიკის საჯარო სკოლაში განხორციელდა, იმ ცნობილი ქართველი და მსოფლიო ადამიანების შესახებ მოგვითხრობს, დაცემის მიუხედავად ბრძოლა რომ განაგრძეს. მათ განსხვავებული ცხოვრება გამოიარეს, სხვადასხვა სირთულეები და ბარიერები გადალახეს, მაგრამ ოპონენტებს დაუმტკიცეს, რომ ისინი ცდებოდნენ.

მეექვსე კლასის მოსწავლეებმა (დამრიგებელი: ირმა მეხრიშვილი) „გამოწვევა“ მეხუთე კლასელებისგან მიიღეს. მათ მიერ წარდგენილმა პრეზენტაციებმა დიდი ინტერესი გამოიწვია და უდიდესი გავლენა მოახდინა მოსწავლეებზე. პროექტის მომზადება მათთვის მნიშვნელოვანია, რადგან ისინი ეცნობიან და იაზრებენ, თუ რამდენად დასაფასებელია ჩვენი ქვეყნისა თუ მსოფლიო კულტურა, ის ადამიანები, ვისითაც მუდამ ამაყობდა ქართველი ერი და მსოფლიო საზოგადოება. პროექტში გათვალისწინებული აქტივობების მიხედვით მოსწავლეები იძიებენ, ეცნობიან, იგებენ და გადმოსცემენ სხვადასხვა ინფორმაციას. უვითარდებათ გადმოცემის, აუდიტორიასთან კომუნიკაციისა და ტექნიკურ საშუალებებთან მუშაობის უნარ-ჩვევები.

„გასული სასწავლო წელი, მეხუთე კლასმა პროექტის წარდგენით დაიწყო, რომელიც გამოჩენილ ქართველებს ეხებოდა. დამუშავებული მასალები კი შემდეგ მეექვსე კლასის მოსწავლეებს წარუდგინეს. მეექვსე კლასელებში ამ ფაქტმა ძალიან დიდი ინტერესი გამოიწვია. სწორედ ამიტომ, მივიღეთ გადაწყვეტილება, რომ განვაგრძოთ ამ ცნობილი ქართველი და არამარტო ქართველი ადამიანების წარდგენა ჩვენივე სკოლის მოსწავლეებთან, თანატოლებთან, მეგობრებთან. ეს თანატოლები ამჯერად თქვენ ხართ, მეშვიდე და მერვე კლასელებო, რომლებიც დიდი ინტერესის გამო შემოგვიერთდით. ჩვენი მიზანია, რომ რაც შეიძლება მეტი გამოჩენილი ადამიანის სახელი გავაჟღეროთ. შემდგომში უკვე გეცოდინებათ, ვინ იყვნენ ეს დიდი ადამიანები და რატომ ვამაყობთ ჩვენ და მთელი მსოფლიო მათით. ეს ადამიანები არიან არამხოლოდ ქართველები, არამედ მსოფლიოში კარგად ცნობილი პიროვნებები, რომელსაც ჩვენი პროექტის ფარგლებში პრეზენტატორები წარმოადგენენ. **თქვენი დაინტერესების იმედი მაქვს გვსურს, მიიღოთ ეს გამოწვევა და გააგრძელოთ პროექტი. გაგვაცნოთ და გაიცნოთ ის გამოჩენილი ადამიანები, რომელთა შესახებ თუნდაც მინიმალური ინფორმაციის ცოდნა აუცილებელია. მინდა თამამად ვთქვა, რომ არბოშიკის საჯარო სკოლა იყო, არის და იქნება წარმატებული მომავალი თაობის გამზრდელი და აღმზრდელი სკოლა, დაწესებულება, რომელსაც ჩვენ დღევანდელ დღეს ერთად წარმოვადგენთ. მინდა მადლობა ვუთხრა თითოეულ ბავშვს. ამ პროექტის წარმატებისთვის მათ ძალიან ბევრი იშრომეს“** - აღნიშნა ღონისძიების შესავალ სიტყვაში მეექვსე კლასის დამრიგებელმა ირმა მეხრიშვილმა.

ბავშვებმა ძალიან საინტერესო, უცნობი და დასამახსოვრებელი ინფორმაცია წარუდგინეს დამსწრე აუდიტორიას შემდეგ პიროვნებებზე: ბორის პაიჭაძე

- საბა ბატიაშვილი, ილია ჭავჭავაძე - დავით იაკობიშვილი, ნიკოლოზ ბარათაშვილი (ტატო) - ნია გონაშვილი, გალაკტიონი - გიორგი კოტაშვილი, ქაქუცა ჩოლოყაშვილი - სალომე ზაზაშვილი, კოტე მარჯანიშვილი - ლუკა ხუციშვილი, ვოლფგანგ ამადეუს მოცარტი - გიორგი ბაღაშვილი, უოლტ დისნეი - სანდრო ბატიაშვილი, ისააკ ნიუტონი - მათე ბაღაშვილი. აუცილებლად უნდა აღინიშნოს ის ფაქტი, რომ მოსწავლეები დიდი ყურადღებითა და ინტერესით უსმენდნენ თითოეულ გამომსვლელს. ყოველი მათგანის პრეზენტაცია ამომწურავი და ინფორმაციული იყო (რაღა დაგიმალოთ და მეც ბევრი ახალი ფაქტი გავიგე რამდენიმე ცნობილ ადამიანზე). გამოსვლები ერთმანეთს ისე ენაცვლებოდა, აუდიტორია არც დაღლას გრძნობდა და არც ყურადღება მოუდუნებია.

პრეზენტაციის შემდეგ მეშვიდე კლასელებისთვის პატარა გამოწვევა-კონკურსიც მოეწყო, სადაც მცირე კითხვარის საშუალებით შემოწმდა, თუ რამდენად ყურადღებით ისმენდნენ გამომსვლელების პრეზენტაციებს. მეშვიდე კლასი დაიყო სამ გუნდად, საჭიროების შემთხვევაში კი აუდიტორიის დახმარების გამოყენებაც შეეძლოთ. მეშვიდე კლასი ჩართულობისთვის, ხოლო გამარჯვებული გუნდი კი სიგელებით დაჯილდოვდა. ღონისძიების დასასრულს მშობლებმა, დამსწრე პედაგოგებმა, სკოლის დირექციამ მადლობა გადაუხადა პროექტის ავტორებს საინტერესო და შემეცნებითი ღონისძიებისთვის და წარმატებები უსურვა მათ.

***ამბობენ, რომ დიდი ადამიანები ქმნიან ეპოქას, თუმცა, პირიქითაც ხდება — ეპოქა, გარემო, კონკრეტული სოციალ-ეკონომიკური თუ პოლიტიკური ვითარება ქმნის მაპროვოცირებელ ფონს, რაც გამჭრიახი, გაბედული და ამბიციური ადამიანებისთვის გამოწვევად იქცევა. ამ მოვლენებს უმეტესწილად საკუთარი ავტორები ჰყავთ — პერსონები, ვინც ხელსაყრელ მომენტს ჩაეჭიდნენ და... რომელთაც შეცვალეს სამყარო! ეს არ არის მშრალი ისტორიულ-დოკუმენტური მასალა, ეს რეალურ ფაქტებზე დაფუძნებული ადამიანების ისტორიებია. ამ პროექტით ბავშვებმა კიდევ ერთხელ შეგვახსენეს მიზეზი სიამაყისა, რომლითაც როგორც ცალკეული ქვეყნის შვილები და როგორც მსოფლიოს მოქალაქეები ვართ აღვსილნი. მადლობა და წარმატებები თითოეულ გამომსვლელს, მათ პედაგოგს. ისინი გვესაუბრებიან ეპოქაზე, რომელიც გენიალურმა ადამიანებმა შექმნეს და იმ ეპოქაზეც, რომელსაც თავადაც ქმნიან.*

ჟუჟუნა ყანჩაშვილი

უკეთესი, ძლიერი და განათლებული თემისთვის

გაეროს ერთობლივი პროგრამის „გენდერული თანასწორობისთვის საქართველოში“ დაფინანსებით მიმდინარე პროექტის „ქალთა გაძლიერება ცვლილებისათვის“ და ფონდი „პური მსოფლიოსთვის“ პროგრამის ფარგლებში, ქალთა და ახალგაზრდობის ცენტრ „არბოშიკის“ ახალგაზრდულმა საინიციატივო ჯგუფმა დაუნის სინდრომის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით საინფორმაციო-შემეცნებითი შეხვედრა გამართა.

ახალგაზრდული ჯგუფის მიერ პროექტ „განათლებული თაობა - ძლიერი თემის“ ფარგლებში მომზადდა პრეზენტაცია დაუნის სინდრომზე, დაუნის სინდრომის საერთაშორისო დღის დაარსებასთან დაკავშირებით, იმ საინტერესო ფაქტებზე, რომელიც ბავშვებისთვის სიახლე აღმოჩნდა. პრეზენტაციის ფარგლებში პროექტის ხელმძღვანელმა ჟუჟუნა ყანჩაშვილმა ჯგუფის სამუშაო ოთახში შეკრებილ ბავშ-

ვებს გააცნო ის ძირითადი გარემო-ფაქტორები, რომელიც საზოგადოებამ უნდა გაითვალისწინოს დაუნის სინდრომის მქონე ადამიანებთან კომუნიკაციისას.

შეკრებილმა ბავშვებმა შეადგინეს ასოციაციური რუკა, რომელზეც დააფიქსირეს ის ინფორმაცია, რაც პრეზენტაციამდე იცოდნენ. პრეზენტაციის შემდეგ კი ის სიახლეები განათავსეს დაფაზე, რაც მათთვის სრულიად ახალი ინფორმაცია აღმოჩნდა. გარდა პრეზენტაციისა, შეხვედრაზე ნაჩვენები იყო მცირე ვიდეო რგოლები, რომელიც საკმაოდ

საინტერესო და ინფორმაციული აღმოჩნდა ბავშვებისთვის. მიღებული ცოდნით ბავშვებმა შექმნეს პლაკატები, დაამზადეს საინფორმაციო ფლაერები. ცნობიერების ამაღლების მიზნით, ბავშვების ინიციატივით, არსებული ინფორმაცია გავრცელდა ადგილობრივ მოსახლეობაში.

არბოშიკის ახალგაზრდული საინიციატივო ჯგუფი მომავალშიც გააგრძელებს საგანმანათლებლო-შემეცნებითი შეხვედრების ჩატარებას და ბავშვებისა თუ ადგილობრივი მოსახლეობის ინფორმირებულობას უკეთესი, ძლიერი და განათლებული თემისთვის.

„მხატვრობა უსასრულო სამყაროა, ემოციებითა და ფერებით სავსე“...

23 მარტს ეროვნულ გალერეაში ჯემალ და გიორგი კუხალაშვილების ერთობლივი გამოფენა გაიხსნა. 8 აპრილამდე დიმიტრი შევარდნაძის სახელობის ეროვნული გალერეა ჯემალ კუხალაშვილის რეტროსპექტულ გამოფენასა და გიორგი კუხალაშვილის გამოფენას - „ზღურბლს მიღმა“ - მასპინძლობს. ექსპოზიციის გახსნას კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის მინისტრის პირველი მოადგილე კახა სიხარულიძე დაესწრო.

ჯემალ კუხალაშვილი დაიბადა 1952 წელს. 1978 წელს დაამთავრა თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემია და 80-იან წლებში დაიწყო შემოქმედებითი საქმიანობა. მისი შემოქმედება განსაკუთრებული პირადულობით გამოირჩევა. ხატავს ყოველდღიურობას თავისი მრავალფეროვნებითა და მრავალწახნაგოვნებით. სამყაროს მხატვრისეული აღქმა ისეთი ინტენსიური და მძაფრია, რომ თითქოს ტილო ვერც იტევს მის სათქმელს.

ჯემალ კუხალაშვილის სამყაროს მოდელში „დიდი აურზაური და ქაოსია...“ აქ თავს იჩენს მხატვრის საოცარი ნიჭი, გამომსახველობითი ხერხების, ხატვის ტექნიკისა თუ ფერადოვანი კომპოზიციის ფლობა, რაც ნამუშევრებში მხატვრულ წესრიგს განაპირობებს, წესრიგს, რომელსაც წესები არ აქვს და რომელიც ირაციონალური შემოქმედებითი პროცესის შედეგია.

ჯემალ კუხალაშვილი არის სახელმწიფო პრემიის ლაურეატი მხატვრობაში, გალაკტიონ ტაბიძის პრემიის ლაურეატი მწერლობაში, დავით აღმაშენებლის სახელობის პრემიის ლაურეატი და ოქროს მედლის მფლობელი, ქართული კულტურის რაინდი.

2018 წლის 8 ნოემბერს, ილია ჭავჭავაძის დაბადების დღეზე, მწიგნობართა ასოციაციის თაოსნობით დედოფლისწყაროს მხარეთმცოდნეობის მუზეუმში, შეხვედრა შედგა მხატვარ ჯემალ კუხალაშვილთან, ნაჩვენები იყო დოკუმენტური ფილმი მისი შემოქმედების შესახებ. შეხვედრას ფონად გასდევდა ცნობილი პოეტის, მხატვრის მეუღლის, მარინე ცხვედიაშვილის მიერ წაკითხული ლექსები.

ქართველი ფერმწერი გიორგი კუხალაშვილი (დაიბადა 1982 წ.) 2002-2007 წლებში თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიაში სწავლობდა. მხატვრის შემოქმედების ადრეულ ეტაპზევე თვალსაჩინო იყო ინტერესი რელიგიური, ალეგორიული და მისტიკური თემებისადმი. 21-ე საუკუნის ადამიანს სურს ჩასწვდეს თავის სულიერ წარმომავლობას და რადგან მხოლოდ ინტელექტით ეს შეუძლებელია, ხელოვნება საშუალებაა, რომელიც მიღმიერ სამყაროში შეგვიძღვება.

გამოფენა მატერიალურ და სულიერ სამყაროთა ავტორისეული მხატვრული ინტერპრეტაციაა. ძირითადი ლაიტმოტივი, რომელიც ექსპოზიციას გასდევს, ზღურბლს მიღმა არსებულზე საუბარია. სულიერების ძიება, წარმოდგენილი ფერწერული ტილოებით, მხატვრის ერთგვარი მედიტაციური მცდელობაა თავად შეიცნოს მიღმიერი და დამთვალიერებელიც ამოგზაუროს ამ სამყაროში.

გიორგი კუხალაშვილის ნამუშევრები დაცულია საქართველოს, ნიდერლანდების, ბელგიის, საფრანგეთის, გერმანიის, დიდი ბრიტანეთის, რუსეთისა და აშშ-ის კერძო კოლექციებში. მხატვრის შემოქმედებას შეგიძლიათ გაეცნოთ ქართული სახვითი ხელოვნების მუზეუმის მუდმივ ექსპოზიციაში.

გამოფენაზე ბევრ ცნობილ სახეს ნახავდით. კომენტარი ვთხოვეთ პაატა ბურჭულაძეს: „სიამაყის გრძნობა დამეუფლა, გიორგი კუხალაშვილის ფერწერული ტილო „ბოსხის სიზმარი“ რომ ვნახე ნიდერლანდებში, სადაც მხოლოდ კერძო კოლექციები იყო წარმოდგენილი, ასევე ბელგიაში ვნახე მისი ფერწერული ტილო „იერუსალიმში შესვლა“, დღეს კი ახლოს გავეცანი მათ შემოქმედებას და უდიდესი სიამოვნება მიივიღე“.

ია ხურცილავა, ***ხელოვნებათმცოდნე:*** „დიდი შთაბეჭდილება დატოვა ჩემზე მამა-შვილის შემოქმედებამ. ბატონი ჯემალი XXI საუკუნის პირველი ოცეულის კულტურის სფეროში მოღვაწე ხელოვანთა (მხატვრობაში) ხუთეულში გამოვლინდა, როგორც ერთ-ერთი საუკეთესო მხატვარი. მე ხშირად ვესწრები სამხატვრო გალერეებში ახალგაზრდა მხატვრების გამოფენას, მაგრამ დღეს გიორგი კუხალაშვილის ფერწერულმა ტილოებმა აღმაფრთოვანა, მათ შორის „შავი ლომი“; „მისტიური ირმები“, „საიდუმლო სერობა“, „ახალი სიცოცხლე“ და სხვა.

ჯემალ და გიორგი კუხალაშვილებმა მადლობა გადაუხადეს გამოფენის გახსნაზე მოსულ საზოგადოებას და დასძინეს, რომ „მხატვრობა უსასრულო სამყაროა, ემოციებითა და ფერებით სავსე, სადაც მთავარი თავისუფლებაა. მას არა აქვს საზღვრები, ეს არის ემოციის ჯაჭვი, რომელსაც ფერთა სამყაროში გადავყავართ“...

დამთვალიერებლები ჯემალ და გიორგი კუხალაშვილების ერთობლივი გამოფენის ნახვას 8 აპრილამდე შეძლებენ.

ნანა ჭიჭინაძე

32 წელი დამოუკიდებლობის რეფერენდუმიდან

31 მარტი საქართველოს ისტორიაში უმნიშვნელოვანესი დღეა. 32 წლის წინ, 1991 წლის 31 მარტს, საქართველოს მთელ ტერიტორიაზე გაიმართა სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის რეფერენდუმი, რომლის შედეგების საფუძველზე უზენაესმა საბჭომ მიიღო დამოუკიდებლობის აქტი და გაათავისუფლა საქართველო 70-წლიანი საბჭოთა ოკუპაციიდან. შემთხვევითი არ არის, რომ კონსტიტუციით დაცული საქართველოს სახელმწიფო სუვერენიტეტი სწორედ 31 მარტის რეფერენდუმს ეყრდნობა.

„საქართველო არის დამოუკიდებელი, ერთიანი და განუყოფელი სახელმწიფო, რაც დადასტურებულია 1991 წლის 31 მარტს ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე, მათ შორის აფხაზეთის ასსრ-ში და ყოფილ სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში ჩატარებული რეფერენდუმით და 1991 წლის 9 აპრილის საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის აქტით“, - ვკითხულობთ საქართველოს კონსტიტუციის I მუხლში.

32 წლის წინ...

„31 მარტი... მოუთმენლად ელოდა ამ დღეს საქართველო, თავისუფლებისმოყვარე და სამშობლოს ბედზე დაფიქრებული ყველა ადამიანი. ალბათ, ამიტომ იყო, დილიდანვე რომ მიაშურეს მოქალაქეებმა საარჩევნო უბნებს და კეთილსინდისიერად მოიხადეს მამულიშვილური ვალი“, - წერდა 1991 წლის 1 აპრილს გამოსული გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“. - „დილის 7 საათზე, როცა თბილისის საბურთალოს რაიონის საარჩევნო ოლქის 23-ე უბნის კომისიის წარმომადგენლები დანიშნულების ადგილას მივიდნენ, საარჩევნო უბნის კართან პირველი მოქალაქე უკვე ელოდათ: იგი აღმოჩნდა... 101 წლის ლიტველი კაცი. ეს მხცოვანი ადამიანი ჩქარობდა, სხვაზე ადრე მინდა გამოვხატო ჩემი ამ ქვეყნისადმი დამოკიდებულებაო. ასეც მოხდა: სწორედ იგი იყო ამ უბანზე პირველი, ვინც საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენას მისცა ხმა“.

საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენას სულ, ჯამში, 3 მლნ 295,5 ათასმა ადამიანმა მისცა ხმა, უფრო ზუსტად, ამდენმა ამომრჩეველმა უპასუხა „დიახ“ სარეფერენდუმოდ გამოტანილ შეკითხვას:

„თანახმა ხართ თუ არა, აღდგეს საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა 1918 წლის 26 მაისის დამოუკიდებლობის აქტის საფუძველზე?

„ყველა ჩვენგანის ხმა 31 მარტს შეიძლება ის ერთადერთი იყოს, რომელიც გადაწყვეტს ჩვენი სახელმწიფოს – საქართველოს - ბედს“, - განაცხადა ზვიად გამსახურდიამ ჯავახეთის მოსახლეობასთან შეხვედრისას რეფერენდუმამდე რამდენიმე დღით ადრე. - „თუ იქნება დამოუკიდებელი დემოკრატიული საქართველო, სოციალურად დაცული იქნება ჩვენი მრავალეროვანი ოჯახის თითოეული წევრი, დაცული იქნებიან ჩვენი ოჯახები, შვილები, შვილიშვილები“. საქართველოს რესპუბლიკის ცენტრალურმა სარეფერენდუმო კომისიამ 31 მარტის რეფერენდუმის შედეგები 4 აპრილს შეაჯამა, შედეგები კი 5 აპრილს გამოქვეყნდა პრესაში. ცენტრალურმა სარეფერენდუმო კომისიამ დაადგინა:

• საქართველოს რესპუბლიკაში ამომრჩეველთა საერთო რიცხვი იყო 3 მლნ 672 ათას 403;

• რეფერენდუმის მონაწილეთა რიცხვი იყო 3 მლნ 334 ათას 286, რაც შეადგენს ამომრჩეველთა საერთო რიცხვის 90,7 %-ს;

• კენჭისყრის მონაწილეთა რიცხვი იყო 3 მლნ 326 ათას 100, რაც შეადგენს ამომრჩეველთა საერთო რიცხვის 90,5%-ს;

• სარეფერენდუმოდ გამოტანილი საკითხის დადებითად გადაწყვეტის, „დიახ” მომხრეთა რიცხვი იყო 3 მლნ 295 ათას 493, რაც შეადგენს კენჭისყრის მონაწილეთა რიცხვის 99,08%-ს;

ცხინვალში, ყორნისისა და ჯავის რაიონებში რეფერენდუმი არ ჩატარებულა, მაგრამ საქართველოს ამომრჩეველთა საერთო რიცხვში გათვალისწინებულ იქნა ამ რეგიონის ამომრჩეველთა რაოდენობა. ცხინვალის რაიონში რეფერენდუმი ჩატარდა შვიდ სასოფლო საკრებულოს ტერიტორიაზე, სადაც ამომრჩეველთა საერთო რაოდენობა 11376 იყო. გაიცა 10182 ბიულეტენი, რომელთაგან ორი ბათილად იქნა ცნობილი. სარეფერენდუმო კითხვას დადებითი პასუხი გასცა 10180-მა ამომრჩეველმა.

გზა რეფერენდუმამდე

31 მარტის რეფერენდუმის გამართვა შეუძლებელი იქნებოდა, რომ არა ეროვნული ძალების დამაჯერებელი გამარჯვება 1990 წლის 28 ოქტომბრის უზენაესი საბჭოს პირველ მრავალპარტიულ არჩევნებში. საქართველოს რესპუბლიკის ახალმა უზენაესმა საბჭომ შეკრებიდან პირველივე დღეებში განცხადებით მიმართა საბჭოთა კავშირის პრეზიდენტს, მიხეილ გორბაჩოვს, და აცნობა, რომ ჯერ კიდევ საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში მყოფი საქართველოს რესპუბლიკა უარს ამბობდა კრემლის შეთავაზებაზე, შეერთებოდა ახალ სამოკავშირეო ხელშეკრულებას. საქართველომ მონაწილეობა არ მიიღო 1991 წლის 17 მარტის საკავშირო რეფერენდუმში, რომლის მიზანი იყო გაერკვია მოკავშირე რესპუბლიკებში ახალი საკავშირო ხელშეკრულების, კერძოდ, სუვერენულ სახელმწიფოთა კავშირის (სსკ) შექმნის მიმართ დამოკიდებულება. **„გამომდინარე ჩამოყალიბებული პოლიტიკური, ეკონომიკური და სამართლებრივი სტრუქტურებიდან, საქართველოს რესპუბლიკა, ფაქტობრივად, რჩება სსრ კავშირის შემადგენლობაში, მაგრამ აღნიშნული სტრუქტურების რეორგანიზაციის გზით ესწრაფვის სრული სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენას... ასეთი მიდგომა არ ნიშნავს უარის თქმას ეკონომიკურ, მეცნიერულ-ტექნიკურ, კულტურულ და სხვა სფეროებში ამა თუ იმ ქვეყანასთან თანამშრომლობის ნებისმიერ ფორმაზე, რომელთა უმრავლესობასთანაც საქართველოს კავშირი აქვს საუკუნეების განმავლობაში და დღესაც ნაყოფიერად თანამშრომლობს. ცხადია, რომ ახალ პოლიტიკურ პირობებში ეს თანამშრომლობა უნდა ეყრდნობოდეს თვისებრივად ახალ სამართლებრივ ბაზისს, რომელიც ითვალისწინებს სრულ თანასწორუფლებიანობასა და ურთიერთსარგებლიანობას“,** - ვკითხულობთ მიხეილ გორბაჩოვისათვის გაგზავნილ წერილში, რომელსაც ხელს საქართველოს უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე ზვიად გამსახურდია აწერს ხელს.

31 მარტის რეფერენდუმის მომზადების პარალელურად მკვეთრად გაუარესდა ვითარება ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ტერიტორიაზე. 31 მარტს, დამოუკიდებლობის რეფერენდუმის დღეს, რუსეთის ფედერაციის სახალხო დეპუტატთა ყრილობამ მიიღო დადგენილება და საქართველოს ხელისუფლებისგან მოითხოვა სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის აღდგენა და სეპარატისტთა ლიდერ კულუმბეგოვის გათავისუფლება. რუსეთის ხელისუფლებას უპასუხა ზვიად გამსახურდიამ, საქართველოს უზენაესი საბჭოს თავმჯდომარემ, რომელსაც ზურგს უმაგრებდა 31 მარტის რეფერენდუმის შედეგები: **„გვექმნება შთაბეჭდილება, რომ ყალიბდება იმპერიულად განწყობილი ძალების ერთიანი ფრონტი კანონიერად არჩეულ საქართველოს რესპუბლიკის პარლამენტთან საბრძოლველად, რომელსაც სურს დაიბრუნოს 1921 წლის თებერვალში ძალით წართმეული სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა. ამ პოზიციას მხარს უჭერს საქართველოს მოსახლეობის დიდი უმრავლესობა, რასაც მოწმობს გამართული რეფერენდუმის შედეგები, რომელშიც მონაწილეობა მიიღო სიებში შეტანილ ამომრჩეველთა 95 %-მა, 1918 წლის 26 მაისის დეკლარაციის საფუძველზე დამოუკიდებელი საქართველოს აღდგენის მოთხოვნას კი მხარი დაუჭირა კენჭისყრის მონაწილეთა 99,6 %-მა“.**

31 მარტის მნიშვნელობა

ბიმურზა დადეშქელიანი-აფრასიძე, რომელიც რეფერენდუმის მომზადებისას უზენაესი საბჭოს იურიდიული კომისიის თავმჯდომარე იყო, რადიო თავისუფლებას ეუბნება, რომ რეფერენდუმის სახით წინასწარ განისაზღვრა ისეთი საძირკვლის ჩადება საქართველოს დამოუკიდებლობის მშენებლობაში, რომელსაც ვერავინ ამოძირკვავდა. „მოგეხსენებათ, რეფერენდუმის შედეგებს ვერაფერი აუქმებს რეფერენდუმის გარდა“, - ამბობს ის.

სახალხო ფრონტისა და ეროვნული მოძრაობის გამორჩეული ლიდერი, ნოდარ ნათაძეც დარწმუნებული იყო, რომ დამოუკიდებლობის გამოცხადების წინ რეფერენდუმის ჩატარებით ზვიად გამსახურდიამ ბრძნული გადაწყვეტილება მიიღო. **„რატომ ვლაპარაკობ ამაზე ჭოჭმანის გარეშე? იმიტომ რომ შემდეგი მოწვევის პარლამენტში რომ ვიყავი, შევარდნაძის პოლიტიკას რომ ვუყურებდი, ჩემთვის აბსოლუტურად ნათელი იყო, რომ რეფერენდუმი რომ არ ნასძღოლოდა წინ დამოუკიდებლობის გამოცხადებას, შევარდნაძე გარისკავდა და შეგვაერთებდა რუსეთთან. მხოლოდ და მხოლოდ რეფერენდუმმა შეაჩერა იგი, რეფერენდუმმა დაგვიცვა“.**

კიდევ 32 წლის წინ...

32 წლის წინ, რეფერენდუმის დღეს, თბილისში იმყოფებოდა აშშ-ის 37-ე პრეზიდენტი, 78 წლის რიჩარდ ნიქსონი, რომლის ნათქვამი სიტყვები გაიხსენა რეფერენდუმის შედეგებისადმი მიძღვნილ პრესკონფერენციაზე საქართველოს უზანაესი საბჭოს თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ, აკაკი ასათიანმა: „ვიმედოვნებ, მოვესწრები იმ დღეს, როცა კიდევ ერთხელ ჩამოვალ საქართველოში, მაგრამ უკვე თავისუფალ, დამოუკიდებელ საქართველოში“. **თბილისის ერთ-ერთ საარჩევნო უბანზე ყოფნისას რიჩარდ ნიქსონს ისიც კი უთქვამს, უფლება რომ მქონდეს, სიამოვნებით მივცემდი ხმას საქართველოს დამოუკიდებლობასო.**

საქართველომ სულ რაღაც 9 დღეში აღიდგინა დამოუკიდებლობა, სწორედ იმ რეფერენდუმის შედეგების საფუძველზე, რომელმაც ასეთი ძლიერი შთაბეჭდილება მოახდინა ამერიკის 37-ე პრეზიდენტზე. ამასთან, ეს იყო უკანასკნელი რეფერენდუმი, რომელიც ჩატარდა საქართველოს მთელ ტერიტორიაზე - აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის ყოფილი ავტონომიური ოლქის ჩათვლით.

მსახიობ ნონა ხუმარაშვილის ვარსკვლავი გაიხსნა

დედოფლისწყაროელი მსახიობის ნონა ხუმარაშვილის სახელობის ვარსკვლავი გაიხსნა თელავის თეატრის წინ. გარდა ამისა, მას გადაეცა ვერიკო ანჯაფარიძის სახელობის პრემია! ის თელავის ვაჟა-ფშაველას სახელობის დრამატულ თეატრში 1984 წლიდან მოღვაწეობს.

როგორც ცერემონიალის შემდეგ ნონა ხუმარაშვილმა გაზეთ „შირაქს“ განუცხადა, ამით მისი პასუხისმგებლობა მაყურებლის წინაშე კიდევ უფრო გაიზრდება.

ნონა ხუმარაშვილი: „დილიდანვე ემოციურად უაღრესად დატვირთული დღე დაიწყო. თეატრში მისულს დამხვდა ჩემი მეგობარი, ყოფილი კოლეგა ჯემალ ღუზარაული დიდი ტორტით, ზედ ვარსკვლავით და პატარა წიწილით, - შენი პირველი წარმატებული როლი ამ წიწილით დაიწყოო. მერე გაგრძელდა სიურპრიზები. რაღაც განსხვავებულ ემოციასთან რომ მომიწევდა შეხვედრა ამისთვის ვამზადებდი თავს, თუმცა უშედეგოდ. ერთი დღისთვის ამდენი ემოცია ძალიან ბევრია. ემოციის ზღვაა, ისეთი განცდაა, არაფერს არ ჰგავს. ვარსკვლავი შემოქმედების გვირგვინია, რაც გიშრომია და გიწვალია, ამას აფასებს მშობლიური თეატრი, მოღვაწეთა კავშირი და პირველ რიგში მაყურებელი. მადლობა ყველაფრისთვის!

– როგორ იხსენებთ მშობლიურ სოფელს და რა გავლენა აქვს მას თქვენს პროფესიაზე?

– რასაკვირველია, ყველაფერს აქვს თავისი დასაწყისი და ჩემი ამ პროფესიისადმი სიყვარულიც ბავშვობიდანვე იწყება. ანუ სკოლის თვითშემოქმედებიდან, სადაც აქტიურად ვმონაწილეობდი. ამ ყველაფერმა განაპირობა ჩემი ინტერესი და სურვილი მსახიობობის მიმართ, რაშიც აგრეთვე წვლილი მიუძღვით ჩემს პედაგოგებს: ტურფა ბუთხუზს, გულნარა ტვილდიანს, აწ განსვენებულ ზიგული ქოჩაშვილს. ასევე აღსანიშნავია ჩემი ნათლიის წვლილი, თელავის თეატრის ყოფილი მსახიობის რამაზ ბუჭყურაშვილის ,რომელიც ასევე იყო ქვემო ქედის მკვიდრი.

– როგორ მოერგეთ თელავს?

– ეს პატარა, კოპწია ქალაქი ბავშვობიდანვე მიყვარს. ეს არის ძალიან თეატრალური და მუსიკალური ქალაქი, აქ მსახიობი ძალიან უყვართ, თელავი კომფორტის ქალაქია, სიყვარულის, ურთიერთობის..

– გამორჩეული როლები?

– ტუტა კარლსონი -„არავინ დაიჯერებს“, ალალეს მამიდა „ალალე“, „რასმუსი - „რასმუს პონტუს ტუკერ“, ლამაზისეული, „კაცია-ადამიანი?!“

„შირაქი“ ასევე ესაუბრა ადამიანებს, რომელთაც მსახიობის ბავშვობა კარგად ახსოვთ და საინტერესო დეტალებს იხსენებენ მისი ცხოვრებიდან. ყველა მათგანი ზეიმობს და ულოცავს ნონა ხუმარაშვილს სახელობითი ვარსკვლავის გახსნას.

გულნარა ტვილდიანი (ქვემო ქედის საჯარო სკოლის პედაგოგი): „შესანიშნავად მახსოვს ძალიან ცოცხალი, მკვირცხლი გოგო. ბუთხუზა იყო, მაგრამ შესანიშნავად ცეკვავდა, მღეროდა. ყველაფერი მოსწონდა და აინტერესებდა. სულ მოწესრიგებული დადიოდა, გარდა საგაკვეთილო მუშაობისა, ჩვენ სხვა ურთიერთობაც გვქონდა. ქართულს ვასწავლიდი და იმ პერიოდში სკოლის ორგანიზატორის პოზიციაც მეკავა და რა უნდა ჩამეტარებინა, რომ ერთ-ერთი გამორჩეული და უაქტიურესი მოსწავლე ნონა არ ყოფილიყო. თუ ვიტყოდი, ღონისძიებას ვგეგმავ-მეთქი, უდედო ბატკანივით თან დამდევდა, აინტერესებდა რა როლს მივცემდი და როდის ჩატარდებოდა. დღემდე მახსოვს ბოშა ქალის როლი იმდენად ეფექტურად შეასრულა, ყველას თავი დაამახსოვრა. დამაჯერებლად და მოხდენილად ითამაშა, დაგვაჯერა, რომ ბოშა იყო. ამდენი წელი გავიდა და ახლაც მახსოვს „დაგავე, დაგავეს“ როგორ ამბობდა. კარგად სწავლობდა, კმაყოფილი ვიყავი. თუ რაიმე ლექსს წავუკითხავდი, ჩამაწერინეო მთხოვდა და შემდეგ სწავლობდა. ერთხელ რომ ავუხსნიდი, მალე ითვისებდა. ექსპრომტად თავისი ინტერპრეტაციით გააგრძელებდა ხოლმე. შინაგანად კულტურული, კარგ ოჯახში გაიზარდა, მამა პედაგოგი იყო. ბავშვობიდან ეტყობოდა, რა გამოვიდოდა. 52 წლიანი პედაგოგობის სტაჟი მაქვს და მერხზე ბავშვი რომ მიზის, ზუსტ დასკვნას ვაკეთებ, რა გაიზრდება. ნონაც მაშინვე ამოვიცანი და სულ ველოდებოდი მისგან წარმატებებს. ხშირად მითქვამს, სცენისთვის ხარ დაბადებული მეთქი. დაუზარელი და კლასის ავტორიტეტი იყო. მასზე რაც გინდა კარგი ვთქვა, ქვემო ქედში ეს არავის გაუკვირდება - ყველა იტყვის, რომ ამ აღიარების ღირსია!.. იუმორის დიდი ნიჭი აქვს, არც შეცვლილა, ახლაც ისევ ისეთია. თუ ვინმე მოწყენილი დაინახა, აუცილებლად გააღიმებს, შეუძლია გულში ჩაიხედოს.. ვიცოდი, რომ სამსახიობოზე ჩაბარებას აპირებდა და ვეხმარებოდი. აბიტურიენტობის დროს მხატვრულ კითხვაში ვამეცადინებდი, ლევან სანიკიძის „უქარქაშო ხმლები“ მოვამზადეთ. ასევე, ორი ნომრის მომზადებაში დავეხმარე და გახარებულმა მითხრა, რომ გამოცდაზე მოეწონათ. ჩვენში იმ დროს თეატრალურ ინსტიტუტში ქალიშვილის გაშვებას კარგად არ უყურებდნენ, მაგრამ ოჯახს მისთვის ამ ფაკულტეტზე ჩაბარება არ დაუშლია. დედამისი მკაცრი და სამართლიანი ქალი იყო, ძალიან კარგად ზრდიდა. მისგან ვიცი, რომ ნონა საოჯახო საქმეებშიც ყოჩაღი იყო, ოჯახში ტრიალი ძალიან ეხერხებოდა. ძალიან უყვარს ქვემო ქედში ყოფნა. როცა აქ ჩამოდის, მეძებს და მნახულობს. მეუბნება ხოლმე, აქ თავიდან ვიბადებიო. ხშირად მიფიქრია, მაგრამ ვერ ვხვდები არტისტიზმის ნიჭი საიდან დაჰყვა, გენეტიკური არ არის, არავინ ჰყოლიათ მსახიობი, მაგრამ ის მართლაც ამ საქმისთვისაა დაბადებული.

ასმათ ხომასურიძე (ქვემო ქედის საჯარო სკოლის პედაგოგი): „მეზობლად ვცხოვრობდით, ჩემს თვალწინ იზრდებოდა. მახსოვს როგორც ლამაზი და კოხტა ბავშვი. საკმაოდ სწრაფი და ცელქი. იუმორით სავსე, მერცხალივით გოგონა, კომუნიკაბელური და დამოუკიდებელი. ვაჟებს არაფრით ჩამოუვარდებოდა, როგორც ძმების უმცროსი და, საკმაოდ გათამამებული იყო. სულ ცქმუტავდა, შენიშვნა რომ მიგეცა, ჩაგეძიებოდა, ეს რატომ მოხდა და რატომაა ასე უკეთესი. ყოველთვის სხარტი და პოზიტიური იყო. კარგ ოჯახში გაიზარდა და საუკეთესოდ აღიზარდა, სიკეთით სავსე ოჯახის შვილია. უყვარდა მეგობრები და სხვებსაც უყვარდათ. ბავშვობიდან ჩანდა, რომ მსახიობი გახდებოდა. ყველაფერში მონაწილეობდა. გაკვეთილები რომ მთავრდებოდა, სახლში არ მიეჩქარებოდა, ისევ სკოლაში ყოფნა ერჩია. საოცრად არტისტული და მუსიკალური იყო. დაბალი კლასებიდანვე მცირე სპექტაკლებში დაგვამახსოვრა თავი. მაშინვე ნიჭიერი მსახიობი იყო. ახლაც, სკოლაში რაიმე ღონისძიება თუ იგეგმება, ბავშვები ხშირად ეხმიანებიან და რჩევებს ეკითხებიან, ისიც საუკეთესო მრჩეველია მათი.

ჩემთვის ვარსკვლავის გახსნა ღირსეული პიროვნებისთვის ღირსეულ დაფასებას ნიშნავს. ყველას არ აქვს ეს პატივი, რადგან ჩათვალეს, რომ ნონა ხუმარაშვილის სახელობის ვარსკვლავი გაეხსნათ, ამით მის მრავალწლიან შემოქმედებას აჯილდოვებენ და აფასებენ შრომას. ვისაც უნდა დაენახა ქალბატონი ნონას შრომა, მან ეს შენიშნა და მისი სახელის უკვდავსაყოფად სახელობითი ვარსკვლავი გაუხსნეს. მას ტელეეკრანზე ხშირად ვხედავდი, მიხარია და მეამაყება მისი წარმატებები. ყოველთვის ვფიქრობდი, რომ უფრო მეტ წარმატებას მიაღწევ- და, ახლა კი ვამბობ, რომ ნამდვილად ღირსია ამ აღიარების. პირადად უკვე მივულოცე, მაგრამ „შირაქის“ ფურცლებიდანაც მინდა კიდევ ერთხელ მივულოცო მისი სახელობის ვარსკვლავის გახსნა. დიდხანს სიცოცხლეს ვუსურვებ რომ თავისი საქმით დიდი წვლილი შეიტანოს მომავალი თაობების სულიერი აღზრდის საქმეში“.

ცარო მარტიაშვილი: „ვარსკვლავებად იბადებიან, ვარსკვლავად დაიბადა ჩემი ნონა, ყველა დროში გამორჩეული, იშვიათი ნიჭის და გამორჩეული გარდასახვის უნარის მქონე მსახიობი. ბედნიერებაა მის გვერდით ყოფნა, საოცრად პოზიტიური და უდიდესი დადებითი ენერგეტიკის მატარებელი ადამიანია, არ აქვს მნიშვნელობა სულ მის გვერდით ხარ, თუ იშვიათად ხვდები, მისი გადამდები სიხალისე, საოცარი იუმორის გრძნობა ყოველთვის თან გდევს და ძალიან დიდ ბედნიერებას განიჭებს. მიხარია, რომ ეს საოცარი გოგო ჩემიანია! ჩემი მიწა წყლის შვილი, ჩემი ბავშვობის და ახალგაზრდობის დაუვიწყარი წლების თანაზიარი. ვულოცავ ამ დიდ წარმატებას და უდიდეს ბედნიერებას ვუსურვებ, სულ ებრწყინოს და ეკაშკაშოს!“

თამარ ღუბიანური *(თანაკლასელი):* „მახსოვს, როგორ განვიცდიდი საბავშვო ბაღში, ნონა სკოლაში რომ უნდა შესულიყო. (ის ჩემზე რამოდენიმე თვით უფროსია) ასე მეგონა, ვერასოდეს შევხვდებოდით ერთმანეთს. საბედნიეროდ, ცხონებულმა დედამისმა, ნინო დეიდამ გადაწყვიტა, რომ მომავალ წელს შეეყვანა სკოლაში და ნონა ისევ ბაღში დაბრუნდა. ჩემს სიხარულს საზღვარი არ ქონდა. შემდეგ პირველ კლასში ერთად შევედით. და ასე სიყვარულით და მეგობრობით მოვდივართ ნახევარი საუკუნე. ნონა ბავშვობიდანვე გამოირჩეოდა სამსახიობო ნიჭით და საოცარი იუმორით. ძალიან ბევრს გვაცინებდა და პოზიტიურად განგვაწყობდა მეგობრებს. მის გვერდით ყოფნა და დროის გატარება ერთი დიდი ზეიმი იყო ჩვენთვის. ყველა სასკოლო ღონისძიების აქტიური მონაწილე იყო. მახსოვს როგორ გარდაისახებოდა ქურთ მეეზოვე ქალად, სპექტაკლიდან „ეზოში ავი ძაღლია“, მოცეკვავე ინდოელ ქალად და ასე შემდეგ. ნონა ჩვენთვის, მისი მეგობრებისათვის ყოველთვის ვარსკვლავი იყო და არის. თვალს ვადევნებ ნონას შემოქმედებას. ძალიან მიხარია და ვამაყობ მისი წარმატებებით. ვხედავ როგორ უყვარს თავის მაყურებელს, მეგობრებს და ახლობლებს. ვულოცავ ნონას დამსახურებულ ჯილდოს, სახელობითი ვარსკვლავის გახსნას და მრავალ წარმატებას ვუსურვებ შემოქმედებით გზაზე“.

ვარსკვლავის გახსნამდე თელავის თეატრში რეჟისორ გოგი ჩაკვეტაძის სპექტაკლ „ლიბიდოს“ პრემიერა გაიმართა. წარმოდგენის დასრულების შემდეგ კი მსახიობების დაჯილდოების ცერემონია ჩატარდა. ნონა ხუმარაშვილს ვერიკო ანჯაფარიძის სახელობის პრემია მიენიჭა. აკაკი ხორავას სახელობის პრემია კი მსახიობებს თემურ ხუნაშვილსა და პაატა გულიაშვილს გადაეცა. მსახიობებს უმაღლესი ჯილდო თელავის თეატრის დიდ სცენაზე თეატრალური საზოგადოების თავმჯდომარე გიორგი გეგეჭკორმა გადასცა.

ცნობისთვის: თესაუ-ს თეატრალურ წრეს, რომელსაც ნონა ხუმარაშვილი და ლალი გულიაშვილი ხელმძღვანელობენ, „სტუდენტურ დღეებსა“ და სხვა სახის ღონისძიებებზე არაერთი წარმატება აქვს მოპოვებული.

შეგახსენებთ, ზემო მაჩხაანიდანაა თელავის თეატრის ერთ-ერთი წამყვანი მსახიობი **თემურ ხუნაშვილიც**, რომელსაც გასული წლის ზაფხულში თელავის საპატიო მოქალაქის წოდება მიენიჭა.

ილია მარტყოფლიშვილი

რა საიდუმლოს მალავს შირაქის აეროდრომი და მიწისქვეშა ბაზა

შირაქის აეროდრომი - დაახლოებით 800 ჰექტარზე გაშლილი საბჭოთა პერიოდის სტრატეგიული ობიექტი, საიდანაც საბრძოლო თვითმფრინავები პირდაპირ ავღანეთისკენ იღებდნენ გეზს. აეროდრომის პარალელურად აშენებული იყო სამხედრო ქალაქიც, სადაც საბჭოთა ოფიცრები, ინჟინერები ოჯახებით ცხოვრობდნენ. რა თქმა უნდა აეროდრომის ტერიტორიაზე ადგილობრივებიც იყვნენ დასაქმებული. თუმცა, იყო გასაიდუმლოებული მკაცრი დაცვის ზონაც, სადაც როგორც ამბობენ, ატომური ბომბის ქობინი ინახებოდა. დღეს აეროდრომი გაუქმებულია, თუმცა ძველი ანგარები ისევ ისე დგას.

უძველესი ტრაქტორი სოფელ ზემო ქედის ერთგვარი სავიზიტო ბარათია. გარშემო უამრავი სახნავ-სათესი მინდვრებია და გასული საუკუნის დასაწყისში ამ ტერიტორიაზე გადმოსახლებული მთიელები, მთლიანად სასოფლო სამეურნეო საქმიანობაში ჩაებნენ. თუმცა, ამ ველზე 2014 წელს ჩატარებულმა არქეოლოგიურმა გათხრებმა ფაქტობრივად ისტორია შეცვალა. როგორც აღმოჩნდა, ეს ტერიტორია ბევრად უფრო ადრე იყო დასახლებული, ვიდრე ვარაუდობდნენ.

ვაჟა ჩერქეზიშვილი (გეოგრაფი): „1905 წელს შირაქის ველზე ორი სოფელი დაარსდა - ზემო და ქვემო ქედი. ძირითად მოსახლეობას შეადგენდნენ ფშაველები, ხევსურები, მთიელები და ადგილობრივი ქიზიყელები. მოგვიანებით დაარსდა მესამე სოფელი არხილოსკალო. როგორც ისტორიკოსები გვამცნობენ, აქ დასახლებული პუნქტები წარსულშიც ყოფილა, რომლებიც მტრის შემოსევების დროს განადგურებულა. 2014 წელს აღმოჩენილმა დიდნაურის ნაქალაქარმა ფაქტობრივად მთელი აღმოსავლეთ საქართველოს ისტორიოგრაფია თავდაყირა დააყენა. მანამდე აღმოსავლეთ საქართველოს ისტორია ითვლება იბერიის სახელმწიფოს დაარსება, რომელიც ბევრად ახალგაზრდაა, ვიდრე დიდნაურის ნაქალაქარი. არქეოლოგების მიერ ეს აღმოჩენები ჩვენს წელთაღრიცხვამდე 13-ე საუკუნით დათარიღდა. იბერიის ნაქალაქარი ქრისტეშობამდელი მეოთხე საუკუნითაა დათარიღებული. ეს ნაქალაქარი მეცნიერების ვარაუდით ძველისძველი სახელმწიფოს დედაქალაქია, რომელმაც რამდენიმე საუკუნე იარსება. ის ან ძლიერი მიწისძვრის შედეგად განადგურდა, ან მტრების შემოსევის დროს“.

სოფელ ზემო ქედის ცხოვრება კი რადიკალურად შეიცვალა მეორე მსოფლიო ომის დასრულების შემდეგ, როდესაც საბჭოთა მთავრობამ ასობით ჰექტარზე გაშლილი სამხედრო აეროდრომის და ასევე სამხედრო ქალაქის აშენება დაიწყო. საბოლოო გადაწყვეტილება 1950-იან წლებში მიიღეს და აეროდრომზე გამანადგურებელ-ბომბდამშენთა საავიაციო პოლკი განთავსდა. სოფლის ტერიტორიაზე სასწრაფოდ აშენდა სამხედრო ქალაქიც, სადაც ათასობით სამხედრო საკუთარ ოჯახებთან ერთად ჩამოვიდა. დღეს ეს სამხედრო დასახლება ფაქტობრივად მთლიანად დანგრეულია. ბოლო რუსმა ჯარისკაცმა სოფლის ტერიტორია 1993 წელს დატოვა.

ბეჟან სუხაშვილი (სოფელ ზემო ქედში მერის რწმუნებული): „1945 წლის შემდეგ ჩამოვიდა საბჭოთა დივიზია, ეს ტერიტორიაც მაშინ განვითარდა და სტრატეგიული მნიშვნელოვანი ობიექტი იყო. როგორც ბავშვობიდან მესმოდა, საბჭოთა რუსეთს ეს ადგილი ირანისა და თურქეთისთვის დასამიზნებლად სჭირდებოდა. ეს ერთერთი აღმოსავლეთის წერტილი იყო რუსეთისთვის, საიდანაც ეს ყველაფერი კონტროლდებოდა“. ეს ბაზა 1990-იან წლებში დაიშალა. ბოლო ჯარისკაცი აქედან 1993 წელს გავიდა. არცერთი რუსი აღარ დარჩა და მერე ქართულმა



ფორმირებებმა დაიწყეს ნელნელა ჩამოსვლა, შემდეგ კი მოსახლეობამ გაანადგურა. ანგრები დღემდე შემორჩენილია, დაახლოებით 50 ცალი. დღესაც ბევრია ისეთი ადამიანების კატეგორია, რომელთაც აინტერესებთ ამ ადგილის დათვალიერება, იქ სადაც ადრე შესვლა წარმოუდგენელი იყო, ახლა ხშირად სტუმრობენ. ვისაც საბჭოთა ჯარი არ უნახია და ახალი თაობა იმ სისტემას არ იცნობს, ცდილობენ აქ გაეცნონ. ხშირია ექსკურსიები.“

სამხედრო ქალაქი დაინგრა, თუმცა სამხედრო აეროდრომი დღემდე არსებობს. აქედან თვითმფრინავი ძალიან დიდი ხანია არ აფრენილა, ბომბდამშენების ანგარებიც ცარიელია. რამდენიმე მათგანს ადგილობრივები ხორბლის და თივის შესანახად იყენებენ.

დღეს აეროდრომი ასე გამოიყურება: დაკეტილი ანგარები, დაშლილი თვითმფრინავი, თავმოტეხილი ძეგლი, რომელიც მფრინავ ჩკალოვს ეკუთვნის. აღსანიშნავია, რომ სტალკერებისთვის და მიტოვებული ადგილების მოყვარულებისთვის ეს ერთ-ერთი საყვარელი ადგილია. მსგავს ობიექტებს ბევრ

ქვეყანაში ტურისტულადაც იყენებენ.

დედოფლისწყაროში, შირაქის ავიაბაზაზე, დღესაც ნახავთ ამ დრომდე შემორჩენილი აეროდრომის ინფრასტრუქტურას, რომელიც დაზიანებულია. გარდა ამისა, აქ ასევე ნახავთ ძველი თვითმფრინავების ნარჩენებს.

„დიდი შირაქის“ აეროდრომის შესახებ სხვადასხვა სახის ინფორმაციაა ამ დრომდე შემორჩენილი. ადგილობრივები აცხადებენ, რომ ის ბევრ საინტერესო ინფორმაციას და დღემდე შეუსწავლელ ისტორიას ინახავს.

„ეს ადგილი ყველა ადგილობრივისთვის საინტერესო და იდუმალი ადგილია თავისი ისტორიით, ლეგენდებით და გავრცელებული ამბებით. ჩემს ბავშვობაში, კომუნისტების დროს აქ

ავიაბაზა იყო. ტერიტორია სულ თვითმფრინავებით იყო სავსე. თუ სწორად მახსოვს, 1993 წლამდე ბომბდამშენები იდგა მანდ ბოლოს. გარდა ამისა, ვინც მანდ ყოფილა, ყველა ამბობს, რომ იქ მიწისქვეშ არის მოწყობილი სხვადასხვა სახის ინფრასტრუქტურა. სამწუხაროა რომ ახლა მიტოვებულია”,- აღნიშნავენ ქედელები.

ადგილობრივები ასევე აცხადებენ, რომ კარგი იქნება აღნიშნული ადგილის რეაბილიტაცია მოხდეს.

„კარგი იქნება საქართველოს თავდაცვის სამინისტრომ ამ ადგილის რეაბილიტაციაზე რომ იფიქროს, ძალიან გამოადგება საქართველოს. ეს არის უზარმაზარი ქონება რომელიც უნდა გამოიყენოს ქვეყანამ. აქ შეიძლება გაიხსნას საავიაციო სკოლა, მომზადდეს უამრავი სამხედრო და სამოქალაქო მფრინავი, აქ შეიძლება გაიხსნას და გაკეთდეს საავიაციო აკადემია და სამხედრო ბაზაც აღდგეს”,- აცხადებენ ადგილობრივები.

შირაქის ავიაბაზაზე ინტერნეტში ნაკლები ინფორმაციაა. ნაკლებია ასევე იმ ადამიანების რაოდენობა, რომლებმაც ამის შესახებ იციან. როგორც აღნიშნულ საკითხზე, Geo Stalk-ის მიერ გავრცელებულ ინფორმაციაში სადაც ვკითხულობთ, შირაქში აეროდრომის აშენების ინიციატივა გენერალ-ლეიტენანტ ვლადიმერ ნანეიშვილს ეკუთვნის. მათ მიერ აღნიშნულ საკითზე მომზადებული ვიდეო ბლოგიდან, რომელიც youtobe არხზეა განთავსებული, კარგად ჩანს დღემდე შემორჩენილი ინფრასტრუქტურა. ასევე მათ გაავრცელეს ფოტო მასალაც, რომელიც არსებულ მდგომარეობას ასახავს.

* * *

ვლადიმერ ნანეიშვილს 1950 წელს ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის 34-ე საჰაერო არმიის სარდალი გახლდათ. გადმოცემით, თელავის აეროდრომიდან აფრენის შემდეგ ნანეიშვილის თვითმფრინავს, ტექნიკური პრობლემები შეექმნა და გენერალმა ორმოტორიანი თვითმფრინავი ავარიულად მდინარე ალაზნის ახლოს მინდორზე დასვა. მას ისე მოსწონებია ეს ადგილი, ყველა ღონე უხმარია, რომ მიეღოთ გადაწყვეტილება, შირაქის ველზე, სოფლების — ზემო ქედისა და არხილოსკალოს ახლოს სამხედრო აეროდრომის აეშენებინა.

„თავდაპირველად აეროდრომს არ ჰქონდა ბეტონირებული ასაფრენ-დასაფრენი ბილიკი, რაც შიგაწვისძრავიანი თვითმფრინავების ბაზირებისთვის დიდი პრობლემა არ იყო. მოგვიანებით, როდესაც საბჭოთა ავიაციაში მასობრივად გამოჩნდა რეაქტიულძრავიანი საბრძოლო თვითმფრინავები, დიდ შირაქში ასაფრენ-დასაფრენ ზოლზე ბეტონის ფილები დააგეს. დიდი შირაქის აეროდრომზე განთავსებული იყო ალექსანდრე ნეველის სახელობის წითელდროშოვანი 168-ე გვარდიული გამანადგურებელ-ბომბდამშენთა საავიაციო პოლკი, რომლის შეიარაღებაში 1977 წლამდე Су-7Б ტიპის გამანადგურებელ-ბომბდამშენთა სამი ესკადრილია შედიოდა.

70-იანი წლების ბოლოსთვის უკვე მოძველებული Су-7Б-ები იმ დროისთვის თანამედროვე Су-17 ტიპის გამანადგურებელ-ბომბდამშენებმა შეცვალა. საბჭოთა კავშირ-თურქეთის სახელმწიფო საზღვრის საქართველოს მონაკვეთამდე დიდი შირაქიდან პირდაპირი ხაზით 250 კმ-ზე მეტი არ იყო და კახეთიდან აფრენილ გამანადგურებელ-ბომბდამშენებს ბომბების ჩამოყრა (მათ შორის ბირთვულისაც) ტრაპიზონსა და ერზერუმშიც კი შეეძლოთ. სახელის შეცვლა იმით იყო განპირობებული, რომ Су -17М3 ტიპის გამანადგურებელ-ბომბდამშენების ნაცვლად პოლკის გადაიარაღება 1988 წლიდან Су -24 ტიპის საფრონტო ბომბდამშენებით დაიწყო. დიდ შირაქში 1992 წლის დასაწყისისთვის 30 ცალი Су -24 ტიპის საფრონტო ბომბდამშენი იდგა, რომელთა საბრძოლო ამოცანები Су -17М3-ებთან შედარებით გაზრდილი გახლდათ, თუნდაც იმიტომ, რომ დიდი შირაქიდან აფრენილი 39,7 ტონიან Су -24-ს 7 ტონა საერთო მასის ბომბებისა და რაკეტების წაღება 600 კმ რადიუსში შეეძლო. 1991 წლის დეკემბერში საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ დაისვა საკითხი პოლკის სასწრაფოდ რუსეთში გაყვანის შესახებ.

1992 წლის 10 ივნისისთვის 30-ვე Су-24 ტიპის ბომბდამშენი დიდი შირაქიდან ჩრდილოეთ კავკასიაში, მარინოვკის აეროდრომზე გადააფრინეს. ავიაბაზის ტერიტორიაზე არის განთავსებული რამდენიმე მიწისქვეშა ბუნკერი, რომლებიც რადიოკავშირის ტექნიკისთვის და საბრძოლო მასალის შესანახად იყო აშენებული. დღესდღეობით საავიაციო ბაზაზის ტერიტორიასმწყემსები იყენებენ როგოც საძოვრად, ასევე ანგარებში თივის შესანახად. ტერიტორიაზე დგას ერთადერთი ნახევრად დაშლილი გამანადგურებელი. ავიაბაზის გვერდით არის განთავსებული სამხედრო აეროდრომის სამხედრო ნაწილი, სადაც არის განლაგებული უზარმაზარი ზომის ბირთვული ნაკეთობების საცავი. ტერიტორია იქაც სრულად არის მიტოვებული. დადის ბევრი ჭორი, რომ აქ შირაქში არის უზარმაზარი მიწისქვეშა გვირაბების სისტემა და რამდენიმე სართულიანი ბუნკერი არის განთავსებული. სამწუხაროდ თუ საბედნიეროდ აღნიშნული ნაგებობები ჩვენს მიერ აღმოჩენილი არ არის. გამოდის, რომ აქ ბუნკერი ან საერთოდ არასდროს ყოფილა, ან მათი შესასვლელები იმდენად საიმედოდ არის დამალული და დაკეტილი, რომ მას მხოლოდ სპეციალური რუკებით თუ იპოვი”,— წერია Geo Stalk – Urbex And More-ს მიერ გავრცელებულ ინფორმაციაში.

ქალთა დღეებისადმი მიძღვნილი კვირეული დასრულდა

24 მარტს, სოფელ არბოშიკის კულტურის სახლში საგაზაფხულო და ქალთა დღეებისადმი მიძღვნილი ღონისძიება გაიმართა.

მონაწილეობდნენ სოფელ არბოშიკის საჯარო სკოლის მოსწავლეები. ღონისძიებას ესწრებოდნენ მუნიციპალიტეტის მერიისა და კულტურისა და ძეგლთა დაცვის ცენტრის თანამშრომლები, მონაწილე ბავშვების მშობლები, თანაკლასელები.

* * *

25 მარტს, სოფელ ოზაანის ადმინისტრაციულ შენობაში, სოფლების -ზემო მაჩხაანისა და ოზაანის გაერთიანებული ღონისძიება გაიმართა, მიძღვნილი ქალთა დღეებისადმი .

ღონისძიებაში მონაწილეობდნენ: ანსამბლი

„განთიადი“ (ხელმძღვანელი: ლევან ხუნაშვილი), ბავშვთა ქორეოგრაფიული ანსამბლი „ქიზიყი“ (ქორეოგრაფი: თამაზ ღვალაძე), სოფელ ოზაანის საჯარო სკოლის მოსწავლეები.

ღონისძიებაზე საპატიო სტუმრის სტატუსით მოწვეული იყვნენ სოფლის ღვაწლმოსილი ქალბატონები, საბავშვო ბაღის პედაგოგები - ნინო ფოცხვერაშვილი და ლია სუხიტაშვილი. მათ გადაეცათ სიმბოლურად ფასიანი საჩუქრები.

ღონისძიებას ესწრებოდნენ მუნიციპალიტეტის მერიის, კულტურისა და ძეგლთა დაცვის ცენტრის თანამშრომლები, ადგილობრივი მოსახლეობა.

მორიგი საპრიზო ადგილი დედოფლისწყაროს ფრენბურთის გუნდისგან

სპორტული ოლიმპიადის რეგიონალური თამაშების ფარგლებში, ყვარლის სასპორტო სკოლაში ფრენბურთში შეჯიბრი გაიმართა.

მერიის ინფორმაციით, ვაჟებს შორის პირველი ადგილი დაიკავა თელავის №9 საჯარო სკოლის გუნდმა, 2 ადგილი კი დედოფლისწყაროს №1 საჯარო სკოლის გუნდს ხვდა წილად.

„გოგონათა გუნდებს შორის, პირველი ადგილი ყვარლის მუნიციპალიტეტის სოფელ ახალსოფლის №2 საჯარო სკოლის გუნდმა დაიკავა, მეორე ადგილზე გურჯაანის მუნიციპალიტეტის სოფელ არაშენდას საჯარო სკოლის გუნდი გავიდა. გამარჯვებულ მონაწილეებს სიგელები და თასები გადაეცათ.

გუნდები მონაწილეობას მიიღებენ ოლიმპიადის ფარგლებში, აღმოსავლეთ საქართველოს გუნდებს შორის ჩატარებულ შეჯიბრში, რომელიც ზაფხულში გაიმართება",- აღნიშნავენ ინფორმაციაში.

საინტერესო სტატისტიკა

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის ინფორმაციით, 2022 წელს, საქართველოში ცოცხლად დაბადებულთა რიცხოვნობამ 42 319 ბავშვი შეადგინა, მათ შორის 21 897 ბიჭი და 20 422 გოგოა. მაჩვენებელი, წინა წელთან შედარებით 7.9 პროცენტითაა შემცირებული.

როგორც „საქსტატის“ მიერ გავრცელებულ ინფორმაციაშია ნათქვამი, 2022 წელს დაბადებულთა ყველაზე მეტი რიცხოვნობა დაფიქსირდა თბილისში (14 202 ბავშვი), ხოლო ყველაზე მცირე - რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის რეგიონში (246 ბავშვი).

„ცოცხლად დაბადებულთა საერთო რიცხოვნობაში 2022 წელს, 2021 წელთან შედარებით, რიგით პირველი დაბადებულის წილი გაიზარდა 37.4 პროცენტიდან 39.1 პროცენტამდე, მეორე შვილის წილი შემცირდა 35.6 პროცენტიდან 33.5 პროცენტამდე, ხოლო მესამე და მომდევნო რიგითობის დაბადებულთა წილი თითქმის უცვლელი დარჩა და შეადგინა 26.6 პროცენტი. 2022 წელს, ცოცხლად დაბადებულთა საერთო რიცხოვნობაში, წინა წელთან შედარებით, 25 წლამდე ასაკის დედების მიერ გაჩენილი ბავშვების წილი 27.2 პროცენტიდან 26.5 პროცენტამდე შემცირდა, 25-39 წლის ასაკობრივი ჯგუფის დედების წილი 69.2 პროცენტიდან 69.6 პროცენტამდე გაიზარდა. ზრდა შეინიშნება 40 წლის და უფროსი ასაკის დედებშიც, მათი წილი 3.6 პროცენტიდან 4.0 პროცენტამდე გაიზარდა. 2022 წელს, დედის საშუალო ასაკი პირველი ბავშვის დაბადებისას 26.4 წლით განისაზღვრა", - ნათქვამია ინფორმაციაში.

რაც შეეხება გარდაცვალების შემთხვევებს, „საქსტატის“ ინფორმაციით. 2022 წელს, 2021 წელთან შედარებით, გარდაცვლილთა რიცხოვნობა 18.0 პროცენტით შემცირდა და 49 118 ერთეული შეადგინა.

„გარდაცვალების ყველაზე მეტი შემთხვევა დაფიქსირდა თბილისში (14 123 კაცი), ხოლო ყველაზე ნაკლები — რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის რეგიონში (715 კაცი). 2022 წლის მონაცემების მიხედვით, ჩვილ ბავშვთა მოკვდაობის კოეფიციენტმა (1 წლამდე გარდაცვლილთა რიცხოვნობა 1 000 ცოცხლად დაბადებულზე) 7.6 პრომილე შეადგინა. 2022 წელს, 5 წლამდე ასაკის გარდაცვლილთა კოეფიციენტმა (1 000 ცოცხლად დაბადებულზე) 9.2 პრომილე შეადგინა. 2022 წელს, საქართველოში დაფიქსირდა უარყოფითი ბუნებრივი მატება (სხვაობა ცოცხლად დაბადებულთა და გარდაცვლილთა რიცხოვნობას შორის) და - 6 799 ერთეულით განისაზღვრა. ამასთან, უარყოფითი ბუნებრივი მატება დაფიქსირდა ყველა რეგიონში, გარდა თბილისის, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკისა და ქვემო ქართლის რეგიონისა. 2022 წელს, რეგისტრირებულია 26 048 ქორწინება, რაც 12.5 პროცენტით მეტია წინა წლის შესაბამის მაჩვენებელთან შედარებით.

პირველი ქორწინების საშუალო ასაკი ქალებისთვის შეადგენს 29.4 წელს, ხოლო მამაკაცებისთვის 31.9 წელს. 2022 წელს, რეგისტრირებულ განქორწინებათა რაოდენობამ 14 098 ერთეული შეადგინა, რაც 32.3 პროცენტით მეტია წინა წლის შესაბამის მაჩვენებელზე“, - ნათქვამია გავრცელებულ ინფორმაციაში.

ავარია მსხვერპლით დასრულდა

უბედური შემთხვევა მსხვერპლით დასრულდა ქალაქ დედოფლისწყაროში. შირაქის ქუჩაზე 27 მარტს გვიან ღამით მერსედესის მარკის ავტომობილის მძღოლმა საჭე ვერ დაიმორჩილა და ბოძს და მესერს შეეჯახა. შედეგად 33 წლის მძღოლი ი.ტ. ადგილზე გარდაიცვალა, დაშავდნენ მგზავრებიც.

იყო თუ არა მძღოლი ალკოჰოლური თრობის ქვეშ, ამას ექსპერტიზა დაადგენს. ერთ-ერთი ვერსიით, მძღოლს საჭესთან ჩაეძინა. ავტომანქანაში კიდევ ორი მგზავრი იმყოფებოდა, რომლებიც კარიდან გადმოცვივდნენ. მედიკოსების განმარტებით, მათი დაზიანებები მსუბუქი იყო და მგზავრების სიცოცხლეს საფრთხე აღარ ემუქრება.

ადგილობრივები ყვებიან, რომ მამაკაცი მეგობრებთან ერთად სოფელ ოზაანიდან ბრუნდებოდა და ერთ-ერთ ცენტრალურ ქუჩაზე სწრაფად მოძრაობდა, რა დროსაც შეჯახება მოხდა.

მომხდართან დაკავშირებით შს დედოფლისწყაროს პოლიციის სამმართველო გამოძიებას 276-ე მუხლით აწარმოებს.

ავტოსაგზაო შემთხვევებს დედოფლისწყაროში ყოველწლიურად რამდენიმე ახალგაზრდის სიცოცხლე ეწირება.

ხსოვნა

გიორგი აბიათარი

ჩემო ერთადერთო საფიცარო შვილო, გიორგი, 5 აპრილს შენი დაბადების დღეა. შენ უკვე 33 წლის გახდი, მაგრამ ვაი რომ უშენოდ ავღნიშნავთ შენს დაბადების დღეს. დედი, ჩემო სიცოცხლით სავსე შვილო, რატომ გაგიმეტა, რატომ დააშორა დედას ერთად-ერთი შვილი სამშობლოს სიყვარულმა. დედიკო, სანამ 18 წლის გახდებოდი სულ ფორმაზე ოცნებობდი, მაგრამ 2008 წლის აგვისტოს ომმა დაგვაშორა ერთმანეთს. მტრის ჩამოგდებულ კასეტურ ბომბმა შეიწირა შენი და 3 კიდევ შენი ამხანაგის სიცოცხლე. ნათელში ამყოფოს თქვენი, ოთხეულის სული. დე, თქვენს საფლავებზე სულ მუდამ ენთოს სანთელი.

შენი გულმკვდარი დედა ლიზა აბიათარი

მონატრება

აარონ იაკობიშვილი

ერთი წელი მიილია, უშენოდ, აარონ. ერთი წელია, რაც კოვიდის მსახვრალი ხელი შენც მოგწვდა და გიმსხვერპლა. მოიწყინა უშენოდ ჩვენმა ეკლესიამაც და მრევლმაც. აღარავინ გვხვდება შენსავით გულღიად, თითქოს აქაურობაც დაცარიელდა. ორმაგად დარდიანია შენი მეუღლე, მას ხომ ყველაზე მეტად სჭირდებოდი. გვაკლიხარ ყველას და გვენატრება შენი სათნო გამოხედვა. ღმერთმა დაგიმკვიდროს სასუფეველი. განისვენე იქ, სადაც მართალნი განისვენებენ.

დედოფლისწყაროს ღვთისმშობლის მიძინების სახელობის ტაძრის მრევლი

მეზობლები: დათო რობიტაშვილი, ნანა ყაზარაშვილი, ჯემალ კოტაშვილი, ომარ ალადაშვილი, გია გონაშვილი, გენადი ნასრაშვილი, ნოდარ გოგაშვილი, მზია ბარბაქაძე ოჯახებით თანაგრძნობას უცხადებენ გულიკოს და ნონას-დედის, გიორგის, დათოს და თამთას - ბებიის

ლილი თარაშვილ-ნიკოაშვილის

გარდაცვალების გამო.

იზოლდა მენთეშაშვილი და ოთარ ხარაშვილი, ლამარა და მერაბი მენთეშაშვილები, გულნარი და თამილა ხუნაშვილები, გია დევიძე სამძიმარს უცხადებენ დეიდაშვილ ნათელა ბოსტოღანაშვილს მეუღლის, დათოს და შორენას-მამის

ელგუჯა ბექანიშვილის

გარდაცვალების გამო.

მადლობას ვუხდით დედოფლისწყაროს კულტურის და ძეგლთა დაცვის ცენტრის თანამშრომლებს და თითოეულ მოქალაქეს, რომლებმაც ღრმა მწუხარება გამოხატეს ჩვენი დეიდის

ელისო (ლია) ფიროსმანაშვილის

გარდაცვალების გამო და თანაგრძნობა გამოუცხადეს ჩვენს ოჯახებს.

პატივისცემით, მარინა პოპიაშვილი, მიხეილ და მარინე ალადაშვილები

ვანო, ეთერი, ინგა და ირმა შიოლაშვილები თანაგრძნობას უცხადებენ გივი, მანანა და ნანიკო ტუხაშვილებს შვილისა და ძმის

ილია ტუხაშვილის

ტრაგიკულად დაღუპვის გამო.

ვაკო ნაკვეთაური: „ვხატავ, როცა განწყობა მაქვს“

„ეს არის ზრდასრული მხატვარი, თავისი ჩამოყალიბებული ხედვით“ – მხატვარი სოსო ზაალიშვილი

იშვიათი ფერთა შეხამება და პერსონაჟთა სიუხვე მის ნამუშევრებს გამორჩეულ იერს სძენს. ნახატებში ყურადღებას იპყრობს დახვეწილი ფორმები და ირეალურ სამყაროსთან ავტორის ემოციური კავშირი. როგორც ახალგაზრდა მხატვარი გაზეთ „შირაქთან“ ამბობს, მისი შემოქმედების ინსპირაციის წყარო ამჟამად შუა საუკუნეების არქიტექტურა, კერძოდ კი გოთიკური სტილია.

24 მარტს, ქალაქ თბილისში, გალერეა „ლომინარში“ 13 წლის ვაკო ნაკვეთაურის პერსონალური გამოფენა გაიმართა. საექსპოზიციო დარბაზში თავი მოიყარეს ოჯახის წევრებმა, მეგობრებმა და მხატვრებმა.

ვაკო ნაკვეთაური: „თავიდან დიდი გეგმები არ მქონია, უბრალოდ ტექნიკა მომეწონა და გამეორებას ვცდილობდი. ნელ-ნელა უფრო სერიოზულად მოვეკიდე მხატვრობას. პირველ ეტაპზე ნახატებით არაფრის თქმა არ მინდოდა, მაგრამ მომავალში მინდა, რომ ნამუშევრებით ჩემი ნააზრევი მკაფიოდ გადმოვცე. ამ ეტაპზე მგონია, რომ თუ შინაარსს ჩავდებ ნახატებში, ამას ბოლომდე სერიოზულად არ აღიქვამენ და უმჯობესი იქნება, ჩემი იდეების სამომავლოდ გადმოცემა შევძლო. ყოველთვის არ ვხატავ, როცა ამის განწყობა მაქვს, მაშინ ვცდილობ ფურცელთან მიახლებას. თუ მოთხრობას, ან რაიმე წიგნს წავიკითხავ, ბუნებაში ადგილი თუ მომეწონება, ან სახლი - ხატვას ვიწყებ. როცა არ მინდა, ვცდილობ, არ ვხატო. ფერებს განწყობის მიხედვით ვიყენებ, მაგრამ როგორც ვაკვირდები, ამ ბოლო დროს სამ ფერზე ვარ დამოკიდებული. არ ვიცი რატომ, მაგრამ უფრო თეთრს, წითელსა და შავს ვიყენებ. განწყობები დროდადრო მეცვლება ხოლმე. პერსონალური გამოფენის ჩატარება მინდოდა, რადგან კარგი იქნება, ბევრმა გამიცნოს. გამოფენები მომავალში განვითარებაში დამეხმარება. ასე შევძლებ ჩემი იდეები და ნახატები მეტ ადამიანთან მივიტანო. ადრე მეგონა, რომ ხელოვნება აუცილებლად ლამაზი უნდა ყოფილიყო, ლამაზი პერსონაჟები უნდა შემექმნა. ახლა ასე აღარ ვთვლი, თავისუფალი ვარ და პერსონაჟებს ზუსტად ისე ვქმნი, რისი ჩადებაც მათში მინდა. წაუკითხავადაც შეიძლება იდეა დამებადოს და პერსონაჟი შევქმნა, მაგრამ ხშირად წაკითხულის შემდეგ ვცდილობ წარმოსახვა, მისი ხასიათი, მანერები, ან გარეგნობის რაღაც შტრიხები ავიღო და გამოვიყენო. ბოლომდე პერსონაჟს არასოდეს არ ვიმეორებ“.

ნინო პაპიაშვილი *(დედა):* „პატარაობიდან ხატავდა, მაგრამ პირველი კლასიდან სერიოზულად დაინტერესდა და მასწავლებელთან სიარული მოითხოვა. ასე დაიწყო პირველი ნაბიჯები. მასწავლებლის მითითებით საწყის ეტაპზე ისეთ ნამუშევრებს ხატავდა, რაც მის მოტორიკას განავითარებდა. 3-4 წელია, რაც ასეთი ნამუშევრების შექმნა დაიწყო, 9 წლის ასაკშიდან. ვერ გეტყვით, გავლენა რამ მოახდინა, რატომ დაინტერესდა. შემდეგ უკვე მითოლოგია უყვარდა და ხშირად კითხულობდა, ასე განვითარდა. საკუთარი იდეები და ფანტაზიები გაუჩნდა. ადრე სკოლაშიც ჰქონდა გამოფენა,წინა წელს მირზაანში ფიროსმანობაზე გამოფინა და ახლა მასშტაბური პერსონალური გამოფენა დავგეგმეთ“.

სანდრო ლომინაძე *(გალერეა „ლომინარის“ ხელმძღვანელი, მხატვარი):* „ჩვენი გალერეა ამითაა ცნობილი, რომ ახალ ავტორებს უთმობს სივრცეს და მათი ნამუშევრების წარმოჩენას ცდილობს. ჩემი აზრით, ვაკო ნაკვეთაური ძალიან საინტერესოა, არა იმიტომ, რომ ასაკით პატარაა. თუნდაც ზრდასრული ყოფილიყო, მართლაც საინტერესო ნამუშევრები აქვს. ავტორი გამორჩეული მაინც მისი ასაკითაა, მაგრამ რეალურად ეს არის ზრდასრული, სრულფასოვანი მხატვრის გამოფენა და არა პოტენციური ვუნდერკინდის. ამაში ძალიან დიდი სხვაობაა, ვაკო ვუნდერკინდი არ არის, უკვე ჩამოყალიბებულია. ეს არ არის უბრალოდ ნიჭიერი ბავშვის შემოქმედება. აქ ნახავთ ნახატებს, რომელთა მინიმუმ ნახევარი სრულფასოვანი ნამუშევარია და დასრულებული ნაწარმოებია“.

სოსო ზაალიშვილი *(მხატვარი, მწერალი):* „გულწრფელად გეუბნებით, მართლა ძალიან მომეწონა ნამუშევრები. ექსპოზიცია გამოფენის წინა დღეს ვნახე და ასაკი რომ გავიგე, მართლაც გაოცებული დავრჩი. ეს არის ზრდასრული მხატვარი, თავისი ჩამოყალიბებული ხედვით. განსაკუთრებით ფანტასტიურია გრაფიკული ნამუშევრები. ვიცი, რამხელა ენერგია მიაქვს ხატვას, ამდენად გაკვირვებული ვარ, თუ ამ ბავშვს ამხელა ენერგია აქვს და ამდენის ჩადება შეუძლია ნახატებში. ფერწერული ნამუშევრებიც საოცარია, ეს არ არის 12-13 წლის ბავშვის ნამუშევრები. აბსოლუტურად ჩამოყალიბებული მხატვრის შემოქმედებას ვხედავთ. შესაძლოა ვაკომ დროთა განმავლობაში ასაკის და გამოცდილების მატებასთან ერთად შეიცვალოს სტილი, მაგრამ რაც აქ გამოიფინა, ეს შეგვიძლია შევაფასოთ როგორც ნამდვილად ზრდასრული ავტორის შემოქმედება. მინდა ვუსურვო, რომ ამ საქმეს არ დაანებოს თავი, განავითაროს საკუთარი მისწრაფება და ყველამ ხელი შეუწყონ, რომ უფრო მეტად გააღრმავოს ხელოვნების სფეროში მისი შესაძლებლობები. მართლაც ფანტასტიური ნამუშევრები აქვს და ძალიან მომწონს.“

ხათუნა მარიდაშვილი *(კლასის დამრიგებელი):* „ვაკოს 5 წელია ვიცნობ, არის ძალიან შემოქმედებითი, კრეატიული და თავისი სამყარო აქვს. როცა მის ნახატებს ვათვალიერებ, ჩანს, რომ თითოეულ მის ნამუშევარშია გადმოცემული ისტორია და ძალიან რეალურად გვიამბობს ამას. ამიტომაც ვთვლი, რომ ის უკვე ჩამოყალიბებული მხატვარია თავისი ოცნებებით, იდეალებით... მე ნამდვილად მჯერა მისი დიდი მომავლის. დარწმუნებული ვარ, ერთ-ერთი ნიჭიერი მხატვარი იქნება მომავალში. შესანიშნავი ხასიათის ბავშვია, ძალიან კომუნიკაბელური. ვიტყოდი, რომ ერთ-ერთი საამაყო ბიჭია და მე ბედნიერი ვარ, რომ მასთან მაქვს შეხება და თანაზიარი ვარ მისი განვითარების. მინდოდა გამოფენას მისი კლასიც დასწრებოდა, ამიტომაც ორგანიზება გავუკეთეთ და თანაკლასელები მოვიყვანეთ ამ შემოქმედების სანახავად“.

გაზეთი „შირაქი“ ულოცავს ვაკო ნაკვეთაურს პირველ პერსონალურ გამოფენას და წარმატებულ მომავალს უსურვებს შემოქმედების რთულ გზაზე. არასოდეს დაეკარგოს ის ნათელი ფერები და განწყობა, რომლითაც შესანიშნავ ნახატებს ქმნის.

ინგა შიოლაშვილი
ილია მარტყოფლიშვილი

დავეხმაროთ 10 წლის სალომე მელიქიშვილს!

ზემო ქედელ 10 წლის სალომე მელიქიშვილს საზოგადოების დახმარება ესაჭიროება. ძვირადღირებული გამოკვლევების ჩასატარებლად და დიაგნოზის დასაზუსტებლად მოზარდის თურქეთში გადაყვანაა საჭირო, რისი ფინანსური საშუალებაც ოჯახს არ აქვს. ისინი თქვენს მხარდაჭერას ელიან.

ქეთი კობაიძე (ბავშვის დედა): „სალომე მელიქიშვილს დაუდგინდა გენერალიზებული იდიოპათიური ეპილეფსია და ეპილეფსიის სინდრომები. ბევრი კვლევის და ბრძოლის შემდგომ საქართველოში მხოლოდ ექსპერიმენტიებით შემოვიფარგლეთ და როგორც დრო ასევე ფინანსები წყალში ჩაგვეყარა. ბავშვის მდგომარეობა დღითიდღე რთულდება და თუ დროულად არ ვიმოქმედეთ ძალიან ცუდ შედეგამდე მივალთ. ძალიან მრცხვენია თხოვნა რომ მიწევს, მაგრამ აღარ მაქვს სხვა გამოსავალი. იმედი მოგვცეს თურქმა ექიმებმა, რომ ბავშვს დაეხმარებიან მდგომარეობიდან გამოსვლაში“.

GE67BG0000000528858057 „საქართველოს ბანკი“; GE22TB7431645063600034 „თიბისი“. პირადი ნომერი 14001028895 მიმღები ქეთევანი კობაიძე.

ამინდი

დედოფლისწყარო

	ორშაბათი 03.04	სამშაბათი 04.04	ოთხშაბათი 05.04	ხუთშაბათი 06.04	პარასკევი 07.04	შაბათი 08.04	კვირა 09.04
დღე	17°	19°	22°	23°	20°	19°	18°
ღამე	4°	5°	7°	7°	6°	7°	7°

გამომცემელი შპს „შირაქი“
დირექტორი ინგა შიოლაშვილი
რედაქტორი ილია მარტყოფლიშვილი
წერილში მოყვანილ ფაქტებსა და ციფრებზე პასუხს აგებს ავტორი.

სარედაქციო კოლეგია: ჟუჟუნა ყანჩაშვილი (ჟურნალისტი); ელზა ხარაშვილი (სტილისტ-მენეჯერი); ხათუნა ბენაშვილი (კორექტორი); ნათელა ბოსტაშვილი (ბულალტერი); ნიაზი ჯანაშვილი (ოფის-მენეჯერი); მზია ქენქაძე (საქმის მწარმოებელი).
გაზეთი აიწყო და დაკაბადონდა „შირაქის“ კომპიუტერულ ბაზაზე.
ყოველკვირეული გამოცემა იბეჭდება შ.პ.ს „კოლორ პრესის“ სტამბაში.

რედაქციის მისამართია: ქალაქი დედოფლისწყარო, ფიროსმანის №18,
☎ 0 356 22 22-85;
598 72-18-72 (დირექტორი)
593 275-275 (რედაქტორი)

რეგისტრირებულია დედოფლისწყაროს რაიონის სასამართლოს მიერ, №6014-468.
გაზეთის გამოწერა წელიწადში – 20 ლარი